პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
პარასკევი,
17
მაისი
1935 წ.
№ 114 (4270)

დღეს ნომერში

— გავუშალოთ მზადება მოსავლის აღებისათვის (მოწინავე).
— ცნობა ამხ. სტალინის, მოლოტოვის და ლიტვინოვის საუბრის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ პიერ ლავალთან.
— ბ-ნი პიერ ლავალი მოსკოვში. (მე-2 გვ.)
— პ. დ. საყვარელიძე — ამხ. სტალინის რევოლუციური წარსულიდან (მე-2 და მე-3 გვ.).
— უცხოეთის პრესის გამოხმაურება ლავალის მოსკოვში ყოფნაზე.
— ბელორუსიის მწერალთა დელეგაცია ამხ. ზ. მგალობლიშვილთან.

გავუშალოთ მზადება მოსავლის აღებისათვის

ხვნა თესვა დასასრულს უახლოვდება. ეს სამუშაოები წელს უფრო ორგანიზებულად, მოკლე ვადაში და ხარისხის დაცვით მიმდინარეობს, ვინემ შარშან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საკოლმეურნეო წყობილება დღითი-დღე მაგრდება, სატრაქტორო სადგურები უფრო გეგმიანად ეუფლებიან სოციალისტური მიწათმოქმედების ტექნიკას, აუმჯობესებენ ნიადაგის დამუშავების ხარისხს, იპყრობენ აგრონომიული მეცნიერების მწვერვალებს და მტკიცე საფუძველს უყრიან სარეკორდო მოსავალს.

მაგრამ ხვნა-თესვის გეგმების ვადაზე შესრულებით **მხოლოდ იწყება** ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისთვის. ნათესების წესიერი მოვლა - დამუშავება და მოსავლის უდანაკარგოდ აღება—აი ის დიდი სამუშაოები, რომელთა ნაყოფიერად ჩატარებაზე არის დამოკიდებული მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღება.

დღეს ჩვენ მკითხველთა ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მოსავლის აღებისათვის დროულად მომზადების საკითხზე. წლის საერთოდ ნათესების მდგომარეობა ისეთია, რომ თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება შეიძლება დაიწყოს უფრო ადრე, ვინემ შარშან. სიღნაღის რაიონში მაგალითად მოელიან, რომ ქერის აღება დაიწყება ივნისის მეორე ნახევარში, ხოლო ივლისში მასობრივად გაიშლება პურის აღებაც რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში.

დრო არც ისე ბევრია დარჩენილი. საქმე მოითხოვს **ახლავე იქნას დაწყებული მოსავლის აღებისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა.**

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება. აღმოსავლეთ საქართველოში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მთელი ფართობის 60 პროცენტზე მოსავალი აიღება და გაილეწება მექანიზებული წესით. **მარტო შირაქის და ალაზნის ველებზე წელს გამოყენებული იქნება 120-ზე მეტი კომბაინი.** ქართლის რაიონების კოლმეურნეობებშიც იზრდება კომბაინების რიცხვი. გარდა ამისა უნდა მოეწყოს გეგმიანი მუშაობა თვითმკვრელებით, ამუშავდეს რთული სალეწი აგრეგატები, წესრიგში იქნას მოყვანილი **ტრაქტორები, ლოკომობილები, ტრანსპორტი** და უამრავი **წვრილი ინვენტარი,** რაც აუცილებელია მოსავლის აღებისას მინდორზე შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ყოველივე ეს გვავალებს პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ **მოსავლის ასაღებ** იარაღ - მანქანების შეკეთებას და ყოველმხრივ გამზადებას. დროა, საქართველოს მიწსახკომმა და მტს-ების დირექციებმა მოკიდონ ხელი ისე, როგორც საჭიროა სარემონტო სახელოსნოების ამოქმედებას **მოსავლის ასაღები ინვენტარის შესაკეთებლად.**

დროა, „საქსოფლმომარაგებამ" მიიღოს სასწრაფო **ზომები** მოსავლის ასაღები **მანქანების** და განსაკუთრებით თვითმკვრელების სათადარიგო ნაწილების მოსამარაგებლად, რომელთა მწვავე ნაკლებობას განიცდიან საქართველოს მტს-ები.

მაგრამ არ კმარა მარტო კომბაინები, თვითმკვრელები და სალეწი აგრეგატები. საჭიროა კვალიფიციური **კადრები** — (ცოცხალი ადამიანები. **„საჭირო არიან ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი შეითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით".** (სტალინი).

ავიღოთ კომბაინი. თუ ამ რთულ მანქანას მართავს უხეირო კომბაინერი, თუ შტურვალმა არ იცის სად ასწიოს და დასწიოს ხედერი ვერ უგებს მის მოწყობილობას ნიადაგის რელიეფს, — მაშინ ცხადია ადგილი ექნება უამრავ დანაკარგებს და მანქანის ხშირ დაზიანებასაც. თუ თვითმკვრელის ყოველი დეტალი რიგიანად არ არის გაშინჯული, შეკეთებული და მორგებული იგი ძნებს, ვერ შეკრავს და უწესრიგოდ გაფანტავს მომკილ თავთავებს.

ყოველივე ეს თითქო უბრალო ჭეშმარიტებაა. ეს იცის სატრაქტორო პარკის ყველა მუშაკმა. მაგრამ აქედან სათანადო დასკვნა როდი გამოყავს მტს-ის ყველა დირექტორს.

იმისათვის, რომ მანქანა მუშაობდეს წესიერად, საჭიროა იმ ადამიანების მომზადება და გადამზადება, რომლებიც მანქანებს მართავენ. სინამდვილეში კი დანაშაულობრივად ჭიანურდება კომბაინერთა, სალეწ მანქანაზე და თვითმკვრელზე მომუშავეთა მომზადება. **შირაქის** მარცვლეულის **საბჭოთა** მეურნეობაში პირველი აპრილისათვის უნდა გამზადებულიყო 70 კომბაინერი. ეს საქმე კი იქ დღემდე გრძელდება. სალეწ მანქანებზე და თვითმკვრელებზე მომუშავეთა გადასამზადებელი კურსები, რომლებიც რესპუბლიკის 3 პუნქტზე გაიხსნა, ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული მსმენელებით. გორის, ბორჩალოს, ყარაიის, საგარეჯოს, ცხინვალის და ტყიბულის მტს-ს დირექტორებს ზემოხსენებულ კურსებისათვის ჯერაც არ შეურჩევიათ მსმენელები.

ამ ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ გამოსწორებასთან ერთად ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა და მიწგანებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გლეხური ინვენტარის მომზადებას, რომელიც საჭიროა მოსავლის აღებლად.

მზადება მოსავლის აღებად უნდა მიმდინარეობდეს დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების და მთლიანად მოსპობის ლოზუნგით. ამ ლოზუნგის განხორციელების ძირითადი პირობა კი იქნება ადგილობრივი ორგანიზაციების ფხიზელი ყურადღება და კონკრეტული ხელმძღვანელობა მოსავლის აღებისათვის მზადების ნაყოფიერად ჩატარებაზე.

ცნობა ამხ. სტალინის, მოლოტოვის და ლიტვინოვის საუბრის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ პიერ ლავალთან

მოსკოვი, 15 მაისი. იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც გაიმართა მოსკოვში 13, 14 და 15 მაისს, ამხ. **სტალინმა, მოლოტოვმა და ლიტვინოვმა** და ბ-ნმა **პიერ ლავალმა** გამოთქვეს თავისი კმაყოფილება 1935 წლის 2 მაისს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულებით, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთდახმარების ვალდებულებანი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის და დააწესა მათი ჯეროვანი გაგება. საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ აღენიშნათ მეგობრული ნდობის არსებობა, შექმნილი მათ ქვეყნებს შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებამ თავისი საკეთილო გავლენა მოახდინა, როგორც საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ურთიერთობის, ისე ყველა იმ ზოგად ევროპული ხასიათის საკითხის განხილვაზე, რომელნიც წარმოიშობიან ორივე მთავრობის თანამშრომლობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულ განხილვას ორივე მხარე შეუდგა სრული გულწრფელობით; მათ შესაძლებლობა მიეცათ დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი მუდმივი მეცადინეობა, რომელიც თავს იჩენს ყველა დასახულ დიპლომატიურ წამოწყებაში, სავსებით გარკვეულად მიმართულია ერთი არსებითი მიზნისაკენ — კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის გზით მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს აღნიშნულ იქნა სრული თანხმობა ორივე მხარის შეხედულებისა ვალდებულებებზე, რომელნიც შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაში გამომდინარეობენ იმ სახელმწიფოებისთვის, რომელნიც გულწრფელად ერთგულნი არიან მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმისა და რომელთაც უკვე მოუციათ მშვიდობისმოყვარეობის დამამტკიცებელი უდაო საბუთები ურთიერთი გარანტიების შექმნაში მონაწილეობისათვის თავისი მზადყოფნით.

სწორედ მშვიდობიანობის შენარჩუნების გულისთვის ეს სახელმწიფოები მოვალენი არიან, პირველყოვლისა, არაფრით არ შეასუსტონ თავისი სახელმწიფო თავდაცვის საშუალებანი. ამასთან, კერძოდ ამხ. **სტალინმა** გამოთქვა სახელმწიფო თავდაცვის იმ პოლიტიკის სრული გაგება და მოწონება, რომელსაც საფრანგეთი ახორციელებს, რათა თავისი შეიარაღებული ძალები იყოლიოს იმ დონეზე, რანაირიც მისი უშიშროების საჭიროებას შეეფერება.

ს.ს.რ. კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, მეორე მხრით, თავისი გადაწყვეტილება თავისი შემდგომი თანამშრომლობის პროცესში გამოუყენებელი არ დასტოვონ არც ერთი საშუალება, რომელსაც კი შეუძლია მშვიდობიანობის პოლიტიკის მომხრე ყველა მთავრობის დახმარებით შექმნას ისეთი პოლიტიკური პირობები, რომელთა გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოებს შორის ნდობის აღდგენა. ეს ნდობა კი აუცილებლად საჭიროა ევროპის ხალხთა მატერიალური და მორალური ინტერესების თვალსაზრისით.

ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს შემდეგ, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებას სრულიადაც არ შეუმცირებია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პაქტის გადაუდებელი განხორციელების მნიშვნელობა, წინათ ნავარაუდევი სახელმწიფოების შემადგენლობით, იმ პაქტისა, რომელიც შეიცავს თავდაუსხმელობის, კონსულტაციის და აგრესორისათვის დახმარების არგაწევის ვალდებულებებს. ორივე მთავრობამ გადაწყვიტა განაგრძონ საერთო მეცადინეობა ამ მიზნისათვის, ყველაზე შესაფერ დიპლომატიურ გზათა გამოსაძებნად.

საჯაროდ გამოაქვთ რა ზემოაღნიშნული საერთო გადაწყვეტილებები, ს.ს.რ. კავშირის და საფრანგეთის წარმომადგენლები მთელი პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ ამით ისინი ცხადჰყოფენ მათ გამაერთიანებელ ერთგულებას შემოქმედებითი საქმისადმი, რომელიც სრულიადაც არ უარყოფს ვისიმე მონაწილეობას და რომელიც შეიძლება სრულად განხორციელდეს მხოლოდ ყველა დაინტერესებული ქვეყნის გულწრფელი თანამშრომლობის გზით (ათს).

მშვიდობიანობის ინტერესებისათვის, ხალხთა მასების ინტერესებისათვის

„პრავდის" მოწინავე 16-V

ბ-ნ პიერ ლავალის ყოფნა მოსკოვში გადაიქცა უაღრესად მკვეთრ დემონსტრაციად საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა, რომლის ერთადერთი მიზანია ემსახუროს მშვიდობიანობის საქმეს. ამ დემონსტრაციაში საომარი განწყობილების ნასახიც კი არ ყოფილა. პირიქით, საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებმაც ჩვენი დედაქალაქი იხილეს და ყველა ისას, ვინც მათ აქ ყოფნას თვალყურს ადევნებდა, შეეძლოთ ერთხელ კიდევ სრული სიცხადით დარწმუნებულიყვნენ, რომ საბჭოთა კავშირი — დიადი პროლეტარული სახელმწიფო — და მისი მთავრობა, მისი ხელმძღვანელები, მისი ბელადი ამხანაგი სტალინი მთელ თავის ძალღონეს ანდომებენ მშვიდობიან მშენებლობას და ხალხთა უფართოესი მასების ინტერესებს. ჩვენს ფრანგ სტუმრებს შეეძლოთ აგრეთვე ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, თუ რამდენად დიდია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მასების ერთსულოვნება თავისი სამშობლოსადმი, რამდენად დიდია საბჭოთა კავშირის ძლიერება, რამდენად სერიოზული და ღრმაა მისი მისწრაფება: მთელი ძალღონით ხელი შეუწყოს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიან ურთიერთობის შენარჩუნებას და განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის დიდ და ღრმა ინტერესს იჩენდენ საფრანგეთისა და ფრანგი ხალხისადმი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდად აფასებენ ჩვენში საფრანგეთის ხალხის შემოქმედებითს გენიას, მის ბრძოლას თავისუფლებისათვის, ჩაგვრის და მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მის გმირულ ბრძოლებს უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ, მის ბრწყინვალე, ხალხის ქვედა ფენებიდან წარმოშობილ ნიჭიერ ადამიანებს. შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა უფართოესი მასები ასე კარგად იცნობენ საფრანგეთის მშრომელთა ბრძოლის ისტორიის ყველაზე გმირულ პერიოდებს და რომ განუწყვეტლივ იზრდება ინტერესი ფრანგული ლიტერატურისა და ფრანგული ხელოვნებისადმი. საფრანგეთი — მსოფლიოს ერთერთი ძირითადი სახელმწიფოა და მის პოზიციას ომის და მშვიდობიანობის საკითხში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები ისწრაფვიან განამტკიცონ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, გვიჩვენებს, რომ საფრანგეთი არ წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც ზოგავს ენერგიას და ძალებს ომის თავიდან აცილების მიზნით. საფრანგეთის ხალხთა მასები აღსავსენი არიან მშვიდობიანობის სურვილით, ვინაიდან მათ ახსოვთ განვლილი იმპერიალისტური ომის საშინელებანი, რომელმაც არა თუ მოითხოვა ადამიანთა და მატერიალური საშუალებათა უამრავი მსხვერპლი, არამედ აგრეთვე გაანადგურა საფრანგეთის ყველაზე აყვავებული დეპარტამენტები. ამგვარად, საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საშვიდობო ხასიათი და მიზნები რეალურ საფუძვლებს ეყრდნობა. და ამ გარემოებამ ბ-ნ ლავალის მოსკოვში ყოფნის დროს მკაფიო და მძლავრი გამოხატულება ჰპოვა. ამას ნათლად გვიჩვენებს „პრავდაში" დღეს გამოქვეყნებული ცნობა ამხ. სტალინის, მოლოტოვის და ლიტვინოვის საუბრების შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ-ნ პიერ ლავალთან. ეს ცნობა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. ეს უნდა აღიაროს ყველამ, ვინც კი მას დაკვირვებით და კეთილსინდისიერად შეისწავლის. ვინაიდან მოსკოვის საუბრების მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ კიდევ უფრო განამტკიცეს მშვიდობიანობისათვის მებრძოლის სისტემა, რომელიც ეყრდნობა ახლანდელ პირობებში უშიშროების და მშვიდობიანობის ერთადერთ რეალურ გარანტიას, რაც აღბეჭდილია საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთ დახმარების პაქტში. ორივე მხარემ — საბჭოთა კავშირმაც და საფრანგეთმაც — შესძლეს მოსკოვში წარმოებული საუბრების დროს ურთიერთ კმაყოფილებით დაედასტურებინათ მეგობრული ნდობის არსებობა, რაც ჩვენს ქვეყნებს შორის შექმნა პარიზის ა.-წ. 2 მაისის ხელშეკრულებამ, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთ დახმარების ვალდებულებანი და მათი სათანადო გაგება. მოსკოვში გამართულმა საუბრებმა დაადასტურეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის სრული ერთსულოვნება მათ მიერ მშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით ნაკისრ ვალდებულებათა მხრივ. ეს კი ნიშნავს, რომ დასტურდება სიმტკიცე საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა, რომელიც პირველხარისხოვან როლს ასრულებს ევროპაში მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში და ურთიერთობა წარმოადგენს ნიმუშს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გულწრფელად ისწრაფვიან კოლექტიური უშიშროების განმტკიცებისაკენ. ამასთან ერთად, საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა წარმოადგენს გაფრთხილებას იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც თავისი საშინაო და საგარეო სიძნელეებისაგან ხსნას ეძებენ მეზობელთა მიწა-წყლის ხელთჩაგდებასა და დაპყრობაში, სხვა ხალხთა დამონებაში, ევროპაში თავისი ბატონობის დამყარებაში. ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მყოფი ბურჟუაზიული ჯგუფები ამასთან ერთად მზად არიან სპეკულაცია გასწიონ ლეგენდებზე, რომლებსაც თვითონ ისინი თხზავენ და განუწყვეტლივ თხზავენ, რომ ვილაც სხვები, და არა თვითონ ისინი ემუქრებიან მშვიდობიანობას, რომ ვილაცა სხვა, და არა თვითონ ისინი, იარაღდება თავდასხმისათვის, — საკმარისია გავიხსენოთ ბინძური ანტისაბჭოთა კამპანია, რასაც უკანასკნელ დღეებში [illegible] ეწევა გერმანიის ფაშისტური პრესა, რომელიც ყოველნაირად გაჰკივის „საბჭოთა მილიტარიზმზე", — რომ მიხვდეთ, — თუ რა მიზანს ისახავს ყველა ეს შეთხზული ლეგენდა. ცნობილი მათი ფილოსოფია — ძალადობის და ომის ფილოსოფია — არავისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას.

ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ამ ქვეყნების რეაქციულ დაჯგუფებებს იმედი აქვთ მიაღწიონ თავის იმპერიალისტურ მიზნებს ძალადობის საშუალებით, შოვინიზმის და მილიტარიზმის გაფთრებული ზრდის შემწეობით. რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? იმისათვის, რომ დაიცვა მშვიდობიანობა, უნდა იყო ძლიერი. სუსტს არ ძალუძს დაიცვას თავისი საზღვრები და უფრო მეტიც ნაციონალ-სოციალისტებისათვის მათი მეზობლების სამხედრო სისუსტე იქნებოდა მხოლოდ დამატებითი არგუმენტი თავდასხმის დაჩქარების სასარგებლოდ.

მაგრამ ამავე დროს საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა კვლავ დაადასტურეს, როგორც ეს გამოქვეყნებული ცნობიდან სჩანს, თავისი მზადყოფნა შემდეგშიაც ერთად იბრძოლონ კოლექტიური უშიშროების და საყოველთაო მშვიდობიანობის გასაძლიერებლად. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის თავდაცვის ხასიათს მოწმობს ისიც, რომ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის კვლავ მიმართავენ ყველა დაინტერესებულ ქვეყანას მოწოდებით თანამშრომლობისაკენ.

ოფიციალური ცნობა, რომელიც დღეს ქვეყნდება, განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ ამ დიად მუშაობაში სრულიადაც არ არის გამორიცხული ვისიმე მონაწილეობა და რომ მშვიდობიანობის დაცვის დიად საქმეში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ ქვეყანამ, რომელიც ნამდვილად და გულწრფელად ისწრაფვის თავიდან აიცილოს ახალი ომი.

სწორედ ამით განსხვავდება რეალურად და აშკარად მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოთა, და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ზრუნვა თავისი სახელმწიფო თავდაცვის განმტკიცებისათვის აგრესიული იმპერიალისტური ქვეყნების შეიარაღებისაგან.

ინგლისის და სხვა ქვეყნების პრესის უდიდესი ორგანოების გამოხმაურება გვიჩვენებს, რომ ევროპის სულ სხვადასხვა წრეებში და მის გარეშეც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა და ლავალის მოსკოვში ყოფნის შედეგები სწორ გაგებას და დადებით შეფასებას ხვდება. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში გაბატონებული ჯგუფები ცდილობენ მოსყიდული პრესის შემწეობით მოატყუონ ხალხთა ფართო მასები და შექმნან მათში ყალბი წარმოდგენა საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის და მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა—მშვიდობიანობის პოლიტიკა,—რომელმაც ესოდენ დიდი და საყოველთაოდ აღიარებული გამარჯვებები მოიპოვა, წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ პოლიტიკას, რომელიც ხალხთა უფართოესი მასების ინტერესებს ეთანხმება. საბჭოთა კავშირს არ ჩაუდენია და არც ჩაიდენს ისეთ რამეს, რაც ამ ხალხთა მასების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა, რომლის მკვეთრი დემონსტრაციაც მოხდა ბ-ნ ლავალის მოსკოვში დარბაზობის დროს, ემსახურება მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს, ემსახურება ხალხთა ინტერესებს. და ამიტომ ბ-ნ ლავალის ყოფნა მოსკოვში და მისი საუბრები ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებთან უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენენ.

ბ-ნი ლავალი მონინოს აეროდრომზე

მოსკოვი, 15 მაისი. 15 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა **ლავალმა** ინახულა მონინოს აეროდრომი, მოსკოვის მახლობლად, სადაც იგი დაესწრო სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების თვითმფრინავების სასწავლო ფრენას.

საფრანგეთის მინისტრი აეროდრომზე მიიღო თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხ. **ვოროშილოვმა.** აეროდრომზე მოვიდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი,** საფრანგეთის ელჩი ბ-ნი **ალფანი,** სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. **პოტიომკინი,** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ-ნი **ლეჟე,** საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი ბ-ნი **რაშა,** საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში ბ-ნი **პაიარი,** საფრანგეთის სამხედრო ატაშე — პოლკოვნიკი **სიმონი,** საავიაციო ატაშე — კაპიტანი **დონზო,** მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალების უფროსი ამხ. **ალკსნისი,** მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. **კორკი,** ს.ს.რ. კავშირის სამხედრო ატაშე საფრანგეთში ამხ. **ვენცოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები, ლავალთან ერთად ჩამოსული ფრანგული პრესის წარმომადგენელნი, საბჭოთა პრესის მუშაკები და სხვები.

ამხ. ვოროშილოვთან ერთად ბატონმა ლავალმა ჩამოიარა მის პატივსაცემად ჩამწკრივებულ საპატიო ყარაულს, რის შემდეგ ორი საათის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა ფრენას, რომელმაც როგორც მასზე, ისე დანარჩენ ფრანგ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მისალმების ნიშნად ერთერთმა მოიერიშე ესკადრილიამ ჰაერში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოსახა ასოები „RF", ე. ი. საფრანგეთის რესპუბლიკის სახელწოდების პირველი ასოები.

საფრანგეთის მინისტრი და მისი მხლებელნი უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს სხვადასხვა საჰაერო ნაწილების ვარჯიშობას, ფიგურებით ფრენას და უმაღლესი პილოტაჟის ნიმუშებს, რომლებიც საბჭოთა მფრინავებმა შეასრულეს განსაკუთრებული ოსტატობით და გამბედაობით, რამაც ფრანგი სტუმრების დიდი აღტაცება გამოიწვია.

დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ერთი თვითმფრინავის ქიმიდან ერთდროულად 24 პარაშუტისტის ოსტატურად გადმოხტომამ. ლავალმა აეროდრომის უფროსს, რომელიც მას წარუდგინეს ვარჯიშობის დამთავრების შემდეგ, განუცხადა, მოხარული ვარ, თქვენი სახით გულწრფელად მივულოცო საბჭოთა ავიაციას და მის მფრინავებს მათი შესანიშნავი წარმატებები. რაც მე აქ ვნახე, — განაცხადა ლავალმა, — წარმოადგენს ორგანიზებულობის დისციპლინისა და სიმამაცის ბრწყინვალე ნიმუშს".

ფრენის დამთავრების შემდეგ ლავალი გაეცნო სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებას აეროდრომზე, დაესწრო აეროდრომის კლუბში წითელ არმიელთა თვითმოქმედების ჩვენებას ხელოვნებაში. კლუბში შეკრებილი წითელარმიელები, მეთაურები და მათი ოჯახის წევრები გულთბილად მიესალმნენ ფრანგ სტუმარს. წითელარმიელთა საუცხოვოდ შესრულებულმა გუნდურმა სიმღერებმა და ს.ს.რ. კავშირის ხალხთა სიმღერებმა, აგრეთვე დიდი ოსტატობით შესრულებულმა ცეკვამ ლავალსა და მის მხლებლებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა და მათი მქუხარე ტაში გამოიწვია.

აეროდრომიდან გამგზავრების წინ ლავალს წარუდგინეს ფრენის მონაწილეები და პარაშუტისტები, რომლებმაც ერთსულოვნად აიტაცეს ვოროშილოვის მიერ საფრანგეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობისათვის წარმოთქმული „ვაშა" (ათს).

საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლების მიღება ბ-ნ ლავალის მიერ

მოსკოვი, 15 მაისი. 15 მაისს მოსკოვიდან გამგზავრების წინ ლავალმა საფრანგეთის საელჩოს შენობაში მიიღო საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ხანმოკლე გულითადი საუბრის დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იძლეოდა მოხდენილ და გონებამახვილ პასუხს მისთვის ყოველმხრიდან მიცემულ შეკითხვებზე.

საუბრის დასასრულს ლავალმა განაცხადა:

საფრანგეთის რესპუბლიკა არ აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას და მას არა აქვს საიდუმლო განზრახვები. იგი მისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ. საფრანგეთმა, რომელიც ზრუნავს, როგორც საკუთარ, ისე საერთაშორისო მშვიდობიანობაზე, საბჭოთა კავშირთან დასდო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება დაიდო მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სახელმწიფოს არა აქვთ საერთო საზღვრები. მაგრამ, ამბობს ლავალი, — ჩვენ ვხელმძღვანელობდით ლიტვინოვის მიერ წამოყენებული პრინციპით, რომ მშვიდობიანობა განუყოფელია.

ლავალისათვის მიცემულ შეკითხვაზე — რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, მინისტრმა უპასუხა:

— **რასაკვირველია, ჩემმა საუბარმა სტალინთან** (ათს).

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება—უცხოეთის პრესის ყურადღების ცენტრში

პარიზი, 15 მაისი. იუწყება რა მოსკოვში ლავალის ყოფნის შესახებ, პრესა გამოყოფს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, ამხ. **სტალინის საუბარს ლავალთან.** ამ საუბარს, გაზეთების აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობისათვის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკის შემდგომი განვითარებისათვის. „ამ შეხვედრის დროს წარმოებულ მოლაპარაკებას გულითადი ხასიათი ჰქონდა, — წერს **„პტი პარიზიენის"** კორესპონდენტი. აღნიშნავენ, რომ როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ მაქსიმალური გულწრფელობა გამოიჩინა".

გაზეთ **„ევრის"** კორესპონდენტი ფიქრობს, რომ განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულების გამოყენების დეტალები და რომ სტალინმა და ლავალმა განიხილეს საგაჭრო ურთიერთობის გაფართოების, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცების შესაძლებლობა.

გაზეთი **„ტანი"** წერს ლავალისთვის მოსკოვში გამართულ მხურვალე შეხვედრის და ბანკეტზე წარმოთქმული სადღეგრძელოების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. იგი ხაზს უსვამს, რომ ლავალმა ბანკეტზე სავსებით მოიწონა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულების დახასიათება ლიტვინოვის მიერ, გაზეთი მოაგონებს მკითხველებს, რომ სხვადასხვა მხრიდან ცდილობდნენ ჭორების გავრცელებას, თითქოს ეს ხელშეკრულება მოსკოვში სხვანაირად ესმოდეთ, ვიდრე პარიზში.

„მასპინძლობა, რომელიც ფრანგი სტუმრების მიმართ გამოიჩინეს მოსკოვში, — აცხადებს გაზეთ **„პარი სუარის"** კორესპონდენტი, — მოწმობს, რომ არსებობს დიდი სურვილი საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის დაახლოება [illegible] და რეალური გახდეს".

ყველა გაზეთი წერს, რომ ლავალს ღრმად ჩასწვდა გულში ის მეგობრობა და ყურადღება, რომელიც მის მიმართ საზოგადოებამ გამოიჩინა დიდ თეატრში.

ეხება რა ლავალის მიერ „პრავდის" სტამბის დათვალიერებას, გაზეთი **„პარი მიდი"** წერს: მსოფლიოში ბევრი გაზეთი ვერ დაიტრაბახებს ასეთ საუცხოვო ტექნიკურ ორგანიზაციას (ათს).

ლონდონი, 15 მაისი. **„დეილი ტელეგრაფის"** მოსკოველი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს რა საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას მოსკოვში, გამოთქვამს რწმენას, რომ სტალინის და ლავალის მოლაპარაკების შედეგად დიდი ნაბიჯი გადაიდგა აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ (ათს).

მოსკოვში ლავალის ყოფნის გარშემო

გერმანიის პრესის გაბოროტება

ბერლინი, 15 მაისი. პრესა ერიდება საკუთარი აზრის გამოთქმას მოსკოვში ლავალის ყოფნის შესახებ და კმაყოფილდება საინფორმაციო ცნობების გადმობეჭდვით. თავისებურ კომენტარიებს წარმოადგენენ მხოლოდ გაბოროტებული ანტისაბჭოთა სტატიები (ათს).

იაპონიის პრესა თავს იკავებს კომენტარიებისაგან

ტოკიო, 15 მაისი. ყველა გაზეთი მთლიანად აქვეყნებს ცნობებს მოსკოვში ლავალის ჩასვლისა და ყოფნის შესახებ, მაგრამ თავს იკავებს კომენტარიებისაგან (ტასს).

საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულება „მშვიდობიანობის ინსტრუმენტია"

პრაღა, 15 მაისი. გაზეთები დაწვრილებით გადმოგვცემენ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს და ჰავასის სააგენტოს ცნობებს მოსკოვში ლავალის ყოფნისა და ლიტვინოვისა და ლავალის მიერ წარმოთქმული სიტყვების შესახებ სათაურებით — „ხელშეკრულება მშვიდობიანობის ინსტრუმენტია", „ევროპის ორი ხალხის მტკიცე მეგობრობა უზრუნველყოფს მშვიდობიანობას" და სხვ. (ათს).

საბჭოთა კავშირში

ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების ნებართვის წესის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებისა, საკავშირო კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ყრილობების, აგრეთვე კონფერენციებისა და თათბირების მოწვევა ადგილობრივ ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ხოლო მუშაობის ცალკეული დარგების მიხედვით შიდასაუწყებო თათბირების მოწვევა — სსრ კავშირის სახალხო კომისრის ან სათანადო ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელის ნებართვით.

2. რესპუბლიკური ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების მოწვევა ადგილების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიძლება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ნებართვით.

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1929 წლის 3 სექტემბრის დადგენილება „საკავშირო ყრილობებისა და თათბირების ნებართვის შესახებ" (სსრკ 1929 წ. კანონთა კრებული, №56, მუხლი 524) — გაუქმდეს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი.
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. მიროშნიკოვი.
მოსკოვი, კრემლი.
1935 წლის 15 მაისი.

უხეიროდ შესრულებული სამუშაოსთვის შრომადღეები არ დაერიცხებათ

ს.ს.რ.კ-ის მიწსახკომის განმარტება

მოსკოვი, 16 მაისი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში აღნიშნულია, რომ შრომადღეების წარმატება ან გამოქვითვა მუშაობის ხარისხისათვის ხდება წლის ბოლოს ბრიგადის მუშაობის შედეგთა გამორკვევის შემდეგ. მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ეს მითითება უმართებულოდ გაიგეს. კოლმეურნეობათა გამგეობებმა გადასწყვიტეს, რომ საჭირო აღარ არის ყოველდღიურად თვალყური ადევნონ მუშაობის ხარისხს და აიძულონ დამნაშავენი ხელმეორედ გააკეთონ უხეიროდ შესრულებული სამუშაო.

ამასთან დაკავშირებით ს.ს.რ.კ-ის მიწსახკომმა დაავალა კოლმეურნეობათა გამგეობებს აუცილებლად სპეციალური აქტებით შეაფასონ ბრიგადის მიერ შესრულებული ყველა სამუშაო: თესვა, ყამირის გატეხა, ანეულის ხვნა, მწკრივთა-შორისი დამუშავება, მოსავლის აღება, მზრალად ხვნა. უნდა შეამოწმონ მუშაობის მოცულობა და ხარისხი, აგრეთვე შრომადღეთა დარიცხვის სისწორე.

სსრკ-ის მიწსახკომი აღნიშნავს, რომ უხეიროდ შესრულებული სამუშაოსათვის შრომადღეები სულ არ დაერიცხებათ, ხოლო უხეიროდ შესრულებული სამუშაო ხელმეორედ უნდა გაკეთდეს. (ათს).

ამხ. სტალინის სიტყვა უცხო ენებზე

მოსკოვი, 15 მაისი. უცხოელ მუშათა გამომცემლობამ საბჭოთა კავშირში ცალკე ბროშურებად გამოუშვა ამხ. სტალინის მიერ 4 მაისს წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე წარმოთქმული სიტყვა, თარგმნილი ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ჩეხურ და ჩინურ ენებზე (ათს).

ხელოვნებათა ფესტივალი

ლენინგრადი, 15 მაისი. 1-დან 10 ივნისამდე ლენინგრადში შესდგება ხელოვნებათა ფესტივალი. უცხოეთიდან მოელიან მრავალ სტუმარს. ფესტივალის პროგრამაში არის ორი საოპერო, ორი საბალეტო სპექტაკლი და ორი სიმფონიური კონცერტი. სოლისტებად კონცერტებზე გამოვლენ არტისტები პიროგოვი, რეიზენი, ბარსოვა, პრეობრაჟენსკაია, ვიოლინოს დამკვრელი დავით ოისტრახი და სხვ. ფესტივალის მონაწილეებს უჩვენებენ აგრეთვე მოსკოვის მცირე თეატრისა და ებრაული თეატრის ორ სპექტაკლს და კინოსურათებს „ჩაპაევს", „გლეხებს", „მაქსიმის სიყრმეს" და სხ. უცხოელი სტუმრები დაესწრებიან მუშათა მხატვრული შემოქმედების საღამოს, სადაც გამოვა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების ათასზე მეტი მუშა. (ათს).

ამხ. მოლოტოვის მისალმება მეტროს მშენებლებს

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ჩვენი მეტროს მშენებლობის წარმატებებით, განსაკუთრებით იმით, რომ იგი აგებულია საბჭოურად, მასების ინტერესების მართებულად გათვალისწინებით.

მხურვალე სალამი მეტროს მშენებლებს!

ვ. მოლოტოვი.

ანტისაბჭოთა ღრიანცელი გერმანიის პრესაში

ბერლინი, 14 მაისი. **„იზვესტიის"** საკუთარი კორესპონდენტი იუწყება ბერლინიდან:

„პრესაში ატყდა ანტისაბჭოთა ღრიანცელი, რომელიც, უეჭველია, დაკავშირებულია ჰიტლერის მომავალ გამოსვლასთან საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე. პრესამ, როგორც ჩანს, უკვე იცის ამ სიტყვის შინაარსი და იგი საზოგადოებრივ აზრს ამზადებს მორიგ ანტისაბჭოთა ტურისათვის გერმანიის პოლიტიკაში" (ათს).

ნაციონალ-სოციალისტური ტერორი გერმანიაში

ლონდონი, 14 მაისი. **„მანჩესტერ გარდიანის"** ცნობით, ნაციონალ - სოციალისტურმა ტერორმა გერმანიაში ამჟამად ყველაზე სასტიკი ფორმები მიიღო. აპატიმრებენ და მხეცურად აწამებენ ყველას, ვისზედაც ეჭვს მიიტანენ, რომ რევოლუციურ პარტიას ეკუთვნის. ცვიკაუს რაიონში (საქსონია) ყველა საპატიმრო სავსეა ტუსაღებით. ლეიპციგში მცხოვრებთა ნაწილმა ხელისუფლებას მიმართა პროტესტით, სადაც ჩივის: მოიერიშეთა შენობებში აწამებენ პატიმრებს და მათი კვნესა - ყვირილი გულს გვიწუხებსო (ათს).

ბ-ნი პიერ ლავალი მოსკოვში

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის დემონსტრაცია

დარბაზობა ამხ. ნ. ა. ბულგანინთან ბატონ პიერ ლავალის პატივსაცემად

მოსკოვი, 14 მაისი. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბულგანინმა 15 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ პიერ ლავალის პატივსაცემად გამართა საუზმე.

საუზმეს დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ-ნი ლეჟე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კრესტინსკი, საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი ალფანი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი ბ-ნი რაშა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. პოტიომკინი, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. კორკი, საფრანგეთის საელჩოს მოხელეები, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-3 დასავლეთის განყოფილების გამგე ამხ. რუბინინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების გამგე ამხ. უმანსკი, იმავე კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ბარკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, ფრანგი ჟურნალისტები, რომლებიც ლავალს ახლავან, და საბჭოთა პრესის და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საუზმის დროს ამხ. ბულგანინმა მიმართა ლავალს მისასალმებელი სიტყვით.

ამხ. ბულგანინის სიტყვა

მე ბედნიერი ვარ მოგესალმოთ თქვენ მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს სახელით და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსახლეობის სახელით. თქვენი სახით ჩვენ მივესალმებით არამარტო საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის თვალსაჩინო წევრს, იმ რესპუბლიკისა, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას აკავშირებს ნდობისა, მეგობრობისა და თანამშრომლობის სულ უფრო და უფრო მჭიდრო ძაფები, არამედ მივესალმებით მუნიციპალურ დარგში მრავალი წლის აქტიურ მუშაკსაც.

მე დარწმუნებული ვარ, მოსკოვში თქვენი ყოფნის ამ დღეებში თქვენ საშუალება გქონდათ დარწმუნებულიყავით იმ გულწრფელ და მხურვალე სიმპატიის გრძნობებში, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს თქვენი დიდი ქვეყნისადმი აქვთ.

ჩვენ აქ, ვეყრდნობით რა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების უსაზღვრო ენტუზიაზმს, მთელ ჩვენს ძალღონეს ვახმართ მშვიდობიანი მშენებლობის საქმეს, რომლის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის აყვავება და კულტურული პროგრესი.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ დიდ მიღწევებს მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების დარგში, რომლებიც განახორციელა საფრანგეთმა და რომლებსაც ახლაც ახორციელებს იგი თავისი დიდი ხალხის გენიისა და შეუპოვარი შრომის შემწეობით.

მე გამოვხატავ ყველა ჩემი ამხანაგის საერთო რწმენას, თუ ვიტყვი, რომ მოსკოვში თქვენი ყოფნა, ბატონო თავმჯდომარევ, და ის პირადი კონტაქტი, რომელიც თქვენი აქ ყოფნის მეოხებით დამყარდა, კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროს, რომელშიაც ვითარდება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

მე ვიღებ ჭიქას და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო თავმჯდომარევ, და საბჭოთა კავშირში საფრანგეთის ელჩის ბ-ნ შარლ ალფანის სადღეგრძელოს, ვუსურვებ ბედნიერებას და აყვავებას საფრანგეთის დიდ ხალხს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბ-ნი ლავალი.

ბ-ნ ლავალის სიტყვა

მე გულში ღრმად ჩამწვდა ის გულითადი შეხვედრა, რომელიც საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოსვლის დროს გამიმართა საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ. მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია აქ გამოვიცხადოთ ჩემი მადლობა. ჩემზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის მოსახლეობის მხრივ ჩემდამი გამოჩენილი სიმპატიების სტიქიურმა დემონსტრაციამ.

თქვენი მეტროს თაღებ ქვეშ, სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის გიგანტურ საამქროებში, თქვენი ოპერის ფეერიულ სურათებში, სტამბების მანქანებს შორის და ჯერ კიდევ ამ დილით თქვენს ერთერთ პაეროდრომზე მე განვიცადიდი მგზნებარებას საბჭოთა გულისა, რომელიც, მიესალმა რა საფრანგეთის წარმომადგენლებს, ენტუზიაზმით შეუერთდა მშვიდობიანობის იმ საქმეს, რომელსაც ჩემი მეგობარი ლიტვინოვი და მე რწმენით და შეუპოვრობით ვანდომებთ მთელს ჩვენს საქმიანობას.

მშვიდობიანობა — ჩვენი საერთო მიზანია, იმიტომ რომ მისკენ არის მიპყრობილი ყველა ხალხთა იმედი. ჩვენ განუწყვეტლივ გავაერთიანებთ ჩვენს ძალღონეს, როგორი სიძნელეებიც უნდა გადაგველობოს გზაზე; გავაერთიანებთ იმისათვის, რომ საშუალება მივსცეთ გლეხებს მინდვრებზე, მუშებს ქალაქებში და სიკეთის მოსურნე ყველა ადამიანს ისარგებლონ უშიშროებით სიკეთით და ნდობის ატმოსფეროში მონაწილეობა მიიღონ საერთო კეთილდღეობის განვითარებაში. მე ჩამოვედი მოსკოვს იმ რწმენით, რომ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა წარმოადგენს მშვიდობიანობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს.

დღეს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ასეთი გულახდილი და გულწრფელი საუბრის შემდეგ, რომელიც მე აქ მქონდა, ვგრძნობ ამ თანამშრომლობის მთელს მნიშვნელობას.

თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, გამოიჩინეთ თავაზიანობა და მოიხსენიეთ ის მუნიციპალური ფუნქციები, რომლებსაც მე სამშობლოში ვასრულებ. მე დიდად ძალიან ვამაყობ იმით, რომ 21 წლის განმავლობაში მუდამ მირჩევენ პარიზის ერთერთი გარეუბნის მერის პოსტზე.

ჩვენი რეჟიმების განსხვავების მიუხედავად, მე სიხარულით აღვნიშნავ, რომ ჩვენ ერთნაირად მივისწრაფით უშიშროებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიან შრომას.

მე ვსვამ მოსკოვის საბჭოს, მისი თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მთელი მოსახლეობის სადღეგრძელოს და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

★

ლავალის სიტყვის შემდეგ ამხ. ბულგანინმა წარმოთქვა მშვიდობიანობის საქმისათვის გამოჩენილი მებრძოლის ამხ. ლიტვინოვის სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს დამსწრენი შეხვდნენ ხანგრძლივი ოვაციით, რომელიც მიმართული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისადმი. ამხ. ლიტვინოვმა უპასუხა შემდეგი სადღეგრძელოთი:

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

„მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბულგანინმა მოიხსენია ჩემი მუშაობა. მაგრამ ჩემი როლი გაცილებით უფრო მცირედია. ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებდი, წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა ნება-სურვილის, ჩვენი პარტიის ნება-სურვილის გამოხატულებას და ჩვენი დიდი ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა გამოხატულებას. კერძოდ, მე ვასრულებ სტალინის მითითებას სიფხიზლის შესახებ. ხოლო ფხიზლად ყოფნა ნიშნავს არამარტო იმას, რომ დროზე ვიცნათ ჩვენი მტრები, არამედ დროზე უნდა ვიცნათ ჩვენი მეგობრებიც. ბედნიერია ჩვენი პოლიტიკის ხელმძღვანელი, რომელსაც შეუძლია ჰპოვოს პოლიტიკური მეგობრები მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ხალხები სიმპატიის და მეგობრობის ძლიერი, მაგარი ძაფებით არიან დაკავშირებული მის საკუთარ ხალხთან.

მე ბედნიერი ვარ, რომ მშვიდობიანობის სასარგებლოდ ჩემს მუშაობაში საშუალება მაქვს დავემყარო საფრანგეთის ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის არსებულ მეგობრობას. მე ვსვამ ამ მეგობრობის სადღეგრძელოს, საფრანგეთის დიდი ხალხის სადღეგრძელოს.

შემდეგ ამხ. ბულგანინმა წარმოთქვა საფრანგეთში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. პოტიომკინის სადღეგრძელო.

★

საუზმე გაცხოველებულ საუბარში ჩატარდა. საუზმის დამთავრების მომენტისათვის საბჭოთა მოედანს გადაუარა თვითმფრინავმა „მაქსიმ გორკიმ“, რომელიც ქალაქს თავს დაჰფრინავდა. ლავალი და დარბაზობის ყველა მონაწილე გაცხოველებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს საჰაერო გიგანტის ფრენას (ადს).

დარბაზობა გ-ნ ლავალის პატივსაცემად საფრანგეთის ელჩ გ-ნ ალფანთან

მოსკოვი, 15 მაისი. საფრანგეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ. ალფანმა 14 მაისს საღამოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავალის პატივსაცემად გამართა დარბაზობა.

დარბაზობას დაესწრნენ: ამხანაგები მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი, მეჟლაუკი, ლიტვინოვი, როზენგოლცი, ბუბნოვი, კრესტინსკი, ტუხაჩევსკი, პოტიომკინი, ეგოროვი, ბუდიონი, ეიდემანი, ყველა ის პირი, რომლებიც ლავალს ახლავან, დიპლომატიური კორპუსი, თავდაცვის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები,

15 მაისს მოსკოვიდან გამგზავრების წინ ლავალი ხელმეორედ ეწვია დიდ თეატრს და დაესწრო ბალეტს „პარიზის ალი“, თეატრში აგრეთვე იყვნენ ამხ. ლიტვინოვი, ლეჟე, ამხ. კრესტინსკი, ალფანი, რაშა, პოტიომკინი და სხვ.

როცა ლავალი ლოჟაში გამოჩნდა, თეატრში მყოფი საზოგადოება გულთბილად მიესალმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. ფეხზე ამდგარი დარბაზი მქუხარე ტაშით მიესალმა საბჭოთა კავშირის სტუმრებს. ორკესტრმა შეასრულა „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“.

თეატრიდან წასვლის წინ ლავალმა თეატრის საპატიო სტუმართა წიგნში ჩასწერა:

„საუცხოვო მსახიობები, შეუდარებელი ორკესტრი, ულამაზესი დეკორაციები — ასეთია დიდი თეატრი. „სადკო“, „პარიზის ალი“ და არაჩვეულებრივი ოვაციები საფრანგეთის წარმომადგენლის მიმართ — მე არასოდეს დამავიწყდება. პიერ ლავალი“ (ადს).

რამ მოახდინა თქვენზე მოსკოვში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

მოსკოვი, 15 მაისი. „იზვესტიას“ თანამშრომელი შეეკითხა ჟურნალისტებს, რომლებიც ლავალს ახლავან — „რამ მოახდინა თქვენზე მოსკოვში ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაო“. გაზეთ „პარი სუარის“ რედაქტორმა პერემ უპასუხა:

„ვაჟკაცობამ და ენერგიამ ახლის შექმნაში, განსაკუთრებულმა დინამიზმმა, რომელსაც გაუტაცნია საბჭოთა კავშირის ხალხები და რომელიც თავს იჩენს ყველა დარგში, და ახალგაზრდობის უდიდესმა როლმა. მე განმაცვიფრა არმიის დიდი ბელადების — ვოროშილოვის, ტუხაჩევსკის და მათი თანამშრომლების განსაკუთრებული ძალით აღსავსე მანერამ“.

ჟურნალების „ვიუს“ და „ლიუს“ თანამშრომელმა ჟუვენელმა:

„მე ყველაზე უფრო გამაოცა ახალგაზრდა პარაშუტისტი ქალის ნინა კამნევას ღიმილმა, როცა იგი გვიამბობდა, თუ როგორი სიხარულით ეწევა იგი ესოდენ საშიშ სპორტს. როცა ვნახე, თუ როგორ არის ამოთხრილი ნიადაგი მიწის ქვეშ სამუშაოებით ვოლგა-მოსკოვის გიგანტური არხის მშენებლობაზე, მე მივხვდი, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა ისახავს ისეთ ამოცანებს, რომლებიც მის ენტუზიაზმს შეეფერება.“

ჟურნალების „ვიუს“ და „ლიუს“ თანამშრომელმა ვოჟელმა:

„საბჭოთა მეტრომ“.

გაზეთ „ერ ნუველის“ თანამშრომელმა ქალმა ბრომ:

„ყველაზე უფრო მეტად მე ამაღელვა იმან, რომ თვით უმნიშვნელო პროფესიაშიც კი თავს იჩენს ენერგია და შეუპოვრობა დასახული იდეალისათვის სამსახურში. დაწყებული ჩვენი სასტუმროს დამლაგებელი ქალით და გათავებული ფაბრიკის მუშებით და ახალგაზრდა მუშა ქალებით — ყველა, დიდი თუ პატარა, აღფრთოვანებულია ერთი სურვილით, ერთი ნებისყოფით“.

საფრანგეთის გაზეთების წარმომადგენელმა რუმინეთში შახმანმა თქვა:

„ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა საბჭოთა კავშირის განსაცვიფრებელმა ახალგაზრდობამ. მასში ღვივის ნამდვილი რევოლუციური ენტუზიაზმი“.

მთელი რიგი პროვინციული გაზეთების წარმომადგენელმა პრეტმა:

„დიდხანს დამრჩება ამაღლებული მოგონება, ტანჯვაში შობილ ამ ახალ ქვეყანაზე, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, — ქვეყანაზე, რომელიც ახორციელებს იმ სოციალისტურ იდეალებს, რომელთათვისაც მე სიჭაბუკეში ვიბრძოდი“ (ადს).

ბ-ნი პიერ ლავალი გაემგზავრა ვარშავაში

მოსკოვი, 15 მაისი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლავალი მოსკოვში სამი დღის ყოფნის შემდეგ გაემგზავრა ვარშავაში. მასთან ერთად გაემგზავრნენ მისი ქალიშვილი ჟოზე ლავალი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლეჟე, მინისტრის კაბინეტის უფროსი რაშა, მოსკოვში ბ-ნ ლავალის გამგზავრების დროს თანხმლები ფრანგი ჟურნალისტების უმრავლესობა, პატენოტრი და სხვა პირები.

ბ-ნ ლავალის გაცილება ვაგზალზე გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობის დემონსტრაციად.

ვაგზალი მორთულია საბჭოთა დროშებით. ძლიერი პროჟექტორებით განათებულ ბაქანზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული.

ბ-ნ ლავალის გასაცილებლად ვაგზალზე შეგროვდნენ: საგარეო საქმეთა კომისრის მოადგ. ამხ. კრესტინსკი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ალფანი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. პოტიომკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბულგანინი, იტალიის ელჩი ბ-ნი ატოლიკო, პოლონეთის ელჩი ბ-ნი ლუკასევიჩი, საფრანგეთის საელჩოს მოხელეები, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. კორკი, საგარეო საქმეთა სახკომატის დასავლეთის მესამე განყოფილების უფროსი ამხ. რუბინინი, საგარეო საქმეთა სახკომატის პრესის განყოფილების უფროსი ამხ. უმანსკი, საოქმო განყოფილების უფროსი ამხ. ბარკოვი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე საფრანგეთში ამხ. ვენცოვი, თავდაცვის სახკომატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ამხ. გეკერი აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობისა, საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

ბაქანზე აგრეთვე ვაგზლის შესავლის ახლოს შეიკრიბა მრავალი მოსკოველი. ამხ. ლიტვინოვთან ერთად ვაგზალში მოსულ ბ-ნი ლავალის გამოჩენისას შეგროვილთა ჯგუფი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის სტუმარს ხანგრძლივი ტაშით და შეძახილით „ვაშა“. ტაში და „ვაშას“ ძახილი არ შეწყვეტილა, სანამ ბ-ნი ლავალი ვაგზლის შესავლიდან ბაქანს მიაღწევდა.

ბაქანზე საპატიო ყარაულის უფროსმა უპატაკა მინისტრს, რის შემდეგ ლავალმა ჩაუარა საპატიო ყარაულის ფრონტს. ორკესტრმა შეასრულა „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“.

მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთის წინ ბ-ნი ლავალი გულითადად ეთხოვება ყველა გამცილებელს.

ბაქანზე შეგროვილთა მრავალრიცხოვან გამცილებლებს შორის ისმის შეძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მეგობრობას!“ პასუხად გაისმის ხანგრძლივი ტაში.

უკვე ვაგონის კართან მდგარმა, ბ-ნმა ლავალმა წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა მიკროფონის წინ:

შეხვედრა, რომელიც მე მოსკოვში გამიმართა საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსახლეობამ, ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება. მე მივემგზავრები იმ რწმენით, რომ ჩემი დარბაზობა მოსკოვში კიდევ უფრო განამტკიცებს საფრანგეთ - საბჭოთა მეგობრობას.

გაუმარჯოს ამ მეგობრობას!

22 საათსა და 45 წუთზე მატარებელი დაიძვრის და ნელა გადის, მას აცილებს ტაში და შეძახილები საფრანგეთ - საბჭოთა მეგობრობისათვის.

★

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ლავალს საზღვრამდე აცილებენ საგარეო საქმეთა სახკომატის დასავლეთის 3 განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვეინბერგი და საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი პაიარი (ადს).

პილსუდსკის დაკრძალავენ 18 მაისს

ვარშავა, 15 მაისი. პილსუდსკის დაკრძალვენ 18 მაისს კრაკოვში (ადს).

ბელორუსიის მწერალთა დელეგაცია ამხ. მგალობლიშვილთან

16 მაისს, დღის 3 საათზე, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. მგალობლიშვილმა მთავრობის სასახლეში მიიღო ბელორუსიის საბჭოთა მწერლების დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ფ. ვოლსკი, (დელეგაციის თავმჯდომარე), ბ. მ. მიკულიჩი, ნ. ტ. ხვედოროვიჩი, ე. ლ. ხამუილენკო და ბელორუსიის პოლონელი პოეტი ვ. ა. კოვალსკი. დარბაზობას დაესწრნენ: განსახკომი ამხ. ა. თათარიშვილი, და საქ. მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 2 საათს. ამხ. გ. ა. მგალობლიშვილმა დელეგაციას მისცა მთელი რიგი კითხვები მისი მომავალი მუშაობის შესახებ საქართველოში. დელეგაციის თავმჯდომარემ ვ. ფ. ვოლსკიმ გააცნო წინასწარი გეგმები, დაზუსტებული საქართველოს განსახკომთან.

პ. დ. საყვარელიძე

ი. ბ. სტალინის რევოლუციური წარსულიდან

(ზოგიერთი მოგონება)

I

ბათუმში 1902 წ. მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის გამო შეპყრობის და იქ დიდხანს ციხეში ჯდომის შემდეგ სტალინი — სოსო ჯუღაშვილი, — გადმოყვანილი იქნა ქუთაისის ციხეში, სადაც 1903 წ. ზაფხულს (ივნისი-ივლისი-აგვისტო სექტემბერი) პეტერბურგიდან განკარგულებას ელოდა შორეულ ჩრდილოეთის გუბერნიებში გადასახლების შესახებ. იმ დროს ის იქნებოდა 23-24 წლის.

დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული პოლიტიკურ ტუსაღთა შორის, რომელთა რიცხვი ციხეში დღითიდღე მატულობდა სოფლად და ქალაქად მასობრივ რევოლუციურ მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ციხე ავსილი იყო. იქ იყვნენ უმთავრესად ბათუმის, ჭიათურის, შორაპნის მუშები, გურიის გლეხები, ინტელიგენტები, სტუდენტები, გიმნაზისტებიც კი. პირადად ბევრს ვეღარ ვიგონებ. მახსენდება თ. ელენტი, ი. კოპალეიშვილი, ს. პაიჭაძე, კ. მოდებაძე, ი. მეგრელიშვილი, ი. მეგრელიძე, გ. ურატაძე, ა. წულაძე, ვ. ჩხაიძე, ა. წითლიძე და სხვ.

ციხეში ყველა ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილზე ლაპარაკობდა. ყველამ იცოდა, რომ ჯუღაშვილმა ბათუმში მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეკრა, იქაური მუშები შეაკავშირა, დარაზმა და სადემონსტრაციოდ და საბრძოლველად გამოიყვანა. ეს მან მოიმოქმედა მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიადაგზე მას სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ იქ მომქმედი სოციალდემოკრატიული მოღვაწენი: კ. ჩხეიძე, ისიდორე და ნოე რამიშვილები, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვ. და მათი ორგანიზაცია. იცოდნენ, რომ სოსომ მათი გავლენა შეარყია მუშათა შორის, მათი ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ შექმნა დამოუკიდებელი, რევოლუციურ - სოციალდემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია, რომელიც მასებს უძღვებოდა თვითმპყრობელობასა და კაპიტალისტებთან ბრძოლაში. მის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან (რომელსაც მეთაურობდა უმთავრესად ისაკ მეგრელიძე). ისმოდა სოსოზე: აგვირია ორგანიზაცია, მუშებში განხეთქილება შეიტანა, არავის ცალა, უდროო დროს მოახდინა გამოსვლა, დემონსტრაციის მსხვერპლი მოყვა, ჩვენს ბათუმელ ხელმძღვანელ ამხანაგებს გვერდი აუარა, დემაგოგიურად შეიჭრა ქარხნებში, მოტყუებით გადაიბირა პროლეტარიატი და სხვ. — აქ არსებითად უკვე ჩამოყალიბებული იყო ორი ერთიერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმდინარეობა, რომელთაც სულ მალე მთელ ს.-დ. პარტიაში ოფიციალ-რად მინშევიზმის (მეუმცირესენი) და ბოლშევიზმის (მეუმრავლესენი) სახელწოდება მიიღეს.

სოსოს რევოლუციურ შეხედულებებსა და შეურიგებელ ტაქტიკას მხარს უჭერდნენ და ამართლებდნენ ქუთაისის ციხის პოლიტიკურ ტუსაღთა პროლეტარული ნაწილის წარმომადგენლები. სტალინს მათთან მჭიდრო კავშირი და პირადი ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდა დამყარებული. პოლიტიკური და რევოლუციური ბრძოლის საჭირბოროტო საკითხებზე იმართებოდა უკვე პატარ - პატარა დისკუსიები. რადგან ციხეში რასაკვირველია, კამათი შედარებით ვიწრო ხასიათს ატარებდა. დისკუსია იმართებოდა კამერებში, სეკრეტებში და სეირნობის დროს.

სტალინი გლეხურ მოძრაობას აკუთვნებდა დაქვემდებარებულ როლს გამათავისუფლებელ მოძრაობაში პროლეტარულ ბრძოლასთან შედარებით. გლეხობა უნდა გაყოლოდა პროლეტარიატის ორგანიზაციას და არა პროლეტარიატი — გლეხურ ორგანიზაციას. ამ ორ ძალას შორის კავშირი უნდა გასკვნილიყო პროლეტარიატის მეთაურობით. სოსო აშკარად უპირდაპირდებოდა „გლეხური რევოლუციური სტიქიით“ გატაცებულ „იდეოლოგებს“. მისი აზრით, ბოლო უნდა მოღებოდა მუშათა ორგანიზაციებში წმინდა ინტელიგენტური ელემენტების ბატონობას და გლეხური წვრილ ბურჟუაზიული რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობას. კონკრეტულად გულისხმობდა გურიის გლეხთა მოძრაობის მეთაურებს, რომელნიც აშკარად ჩემულობდნენ ჰეგემონიას საერთოდ ამიერკავკასიის და საკუთრივ საქართველოს მუშათა მოძრაობაში. სტალინი აგრეთვე ენერგიულად ილაშქრებდა „კვალის“ და კვალელების იდეური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც, მისი თქმით, ლეგალიზმით რყვნიდა მოძრაობას და აბნელებდა მუშების კლასობრივ ცნობიერებას.

სტალინს ამხანაგებში სულ უბრალოდ ეჭირა თავი. მას მოსდგამდა ერთგვარი თვისება, რომლის მეოხებით ადვილად ახერხებდა რევოლუციურ მომუშავეებთან პირად დაახლოვებას. სეირნობის დროს მას ყოველთვის გარს ეხვეოდნენ ბათუმელი მუშები, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ დაჭერილი ბათუმის საქმისათვის და რომელთაც განსაკუთრებით იზიდავდა სტალინი, მისი ლოღიკა, კამათის მანერა, ხასიათის სიმტკიცე. პირად ცხოვრებას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. იცვამდა უბრალოდ. სეირნობის დროს დაიარებოდა უმეტეს ნაწილად, წუღებგადაკეცილი. შიგნით ეცვა ხალათი ან გარედან პერანგი. პიჯაკში ცალი მკლავი (მარცხენა) ქონდა გაყრილი. იცოდა თხელი შავი ჩაბალახის მოდება თავზე.

სტალინს ახასიათებდა პრაქტიკული ოპტიმიზმი, თავდაჭერილი სიხალისე, რევოლუციური აქტივობა და გაფოლადებული რწმენა მუშათა რევოლუციის გამარჯვებისადმი. ეს ხიბლავდა მასში ყველას. ხშირად მოწინააღმდეგეებსაც კი. გამუდმებით ფიქრობდა მასების ხელმძღვანელობაზე რევოლუციური ს.-დ. ორგანიზაციის საშუალებით. ტყუილად დარჩენა არ შეეძლო ციხეშიაც კი. ცდილობდა შიგნიდან გაება კავშირი ციხის გარეთ, ახლად აღორძინებულ ორგანიზაციებთან ან უშუალოდ მოწინავე მუშებთან და, ამნაირად, შეექმნა ყველგან დასაყრდენი მასობრივი რევოლუციური ბრძოლისათვის.

სტალინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ (მიწერმოწერით) უკავშირდებოდა პოლიტიკურების თითქმის ყველა კამერას, აბამდა ქსელს მთელს კორპუსში (ციხე ორსართულიანი იყო. სტალინი იჯდა ქვედა სართულის სეკრეტში, ეგრეთწოდებულ საეკლესიო კამერების პირდაპირ) და მით თავის გავლენის სფეროში ითრევდა პოლიტიკურების დიდ ნაწილს, ორგანიზაციულად აფორმებდა მათთან ურთიერთობას. ყველაზე უფრო მალე და მოხერხებულად უკავშირდებოდა ციხეში ახლადმოყვანილ პოლიტიკურ პატიმრებს. ახლად მოყვანილებისადმი წერილობითი მიმართვის ფორმა ჩვეულებრივ ასეთი იყო: ჩვენებურებო, ან მეგობრებო, ვინ ხართ, საიდან მოგიყვანეს, რატომ დაგიჭირეს და სხვ. და ყოველივე ამას თან ერთოდა მთელი რიგი პრაქტიკული გამაფრთხილებელი წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ დაეჭირათ თავი ციხეში, როგორი დამოკიდებულება დაეკავებინათ ადმინისტრაციასთან, პროკურატურასთან (ან ჟანდარმერიასთან), დაკითხვისას როგორ მოქცეულიყვნენ, რა ეკეთებინათ ციხეში და სხვ. და სხ.

სოსო განირჩეოდა ეკონომიური და სოციალისტური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით. უკვე სავსებით დასრულებული, განათლებული, ორთოდოქსალური მარქსისტი იყო. ზედმიწევნით იცნობდა „ისკრულ“ პოლიტიკასა და ტაქტიკას. სწავლობდა გერმანულს. იცოდა კარგად რუსული და ქართული მწერლობა. თავისუფლად მოჰყავდა მთელი ადგილები რილეევიდან, პუშკინიდან, ნეკრასოვიდან, ჭავჭავაძიდან, ბარათაშვილიდან. არ იზიარებდა „კვალის“ ცალმხრივი გალაშქრების ხასიათს ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ (ჟორდანიას „პრესა“) და მოითხოვდა გარჩეულიყო მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელსაც დიდათ აფასებდა. კითხულობდა ბევრს.

ამავე დროს განუწყვეტელ პროპაგანდას ეწეოდა პოლიტიკურებში, უკითხავდა და უხსნიდა არალეგალურ ლიტერატურას და საყურადღებო ლეგალურად გამოცემულ წიგნებს, აწყობდა „სეკრეტულ“ საუბრებს პოლიტიკური ეკონომიის და სოციალდემოკრატიის საკითხების შესახებ.

ქუთაისის ციხეშივე ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ ტუსაღთა მიერ გამოცხადებულ დემონსტრაცია - შიმშილობაში, რომელიც პროტესტი იყო ადმინისტრაციის წინააღმდეგ ტუსაღთა მდგომარეობის გაუარესების (სეირნობის შემოკლება, ბრალდების წაუყენებლობა და სხვ.) საპასუხოდ. გაფიცულები არ ღებულობდნენ საჭმელსასმელს, ურტყამდნენ ჩაკეტილ კარებზე სხვადასხვა საგნებს, ყვიროდნენ, მოითხოვდნენ პროკურორსა და გუბერნატორს მათთვის მოთხოვნების წარსადგენად. ამ ძლიერ პროტესტს დადებითი შედეგები მოყვა ტუსაღთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

II

1904 წ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სტალინი ტფილისში მუშაობდა. აქიდან ის მალე გადავიდა ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ამ დროს მთელი გლეხობა რევოლუციურ ალში იყო გახვეული. ამავე დროს იქ უკვე უაღრესად გამწვავებული იყო ფრაქციული ბრძოლა მენშევიკებთან, რომლებიც იბრძოდნენ მშრომელ მასებზე გავლენის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად. სხვა პარტიებიც (ესერები, ფედერალისტები, ანარქისტები და სხვ.) გამოსულიყვნენ უკვე ასპარეზზე საბრძოლველად.

სტალინი ამაგრებდა პოზიციებს ქუთაისში, სადაც არსებობდა იმერეთ - სამეგრელოს კომიტეტი რ.ს.-დ. მ. პარტიისა, ჭიათურაში, ტყიბულში, ხონში, იმერეთის სხვა დაბაქალაქებსა და სოფლებში, გურიაში. მას სისტემატიურად უხდებოდა გამოსვლა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ცოტათუბევრად მნიშვნელოვან დაბა-ქალაქსა და სოფელში.

ხშირად ეწყობოდა ბოლშევიკების კონფერენციები სტალინის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ასეთი კონფერენცია მოხდა ხონში (ეკ. პ. კიკალიშვილის ბინაზე), ქუთაისში სოფ. ჯიმასტაროში (3 ვერსის დაშორებით ქუთაისიდან) ი. ქურიას კარმიდამოში, ჭიათურაში და სხვ. მეტად საყურადღებო იყო ჯიმასტაროს კონფერენცია (მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით), რომელსაც დაესწრო 200-მდე დელეგატი. კონფერენცია დღედაღამე განუწყვეტლივ მუშაობდა. მან განიხილა ყველა პროგრამულ - ორგანიზაციულ - ტაქტიკური საკითხები III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები, გაანაწილა ძალები ამიერკავკასიის მასშტაბით და სხვ.

მოხსენებული უნდა იქნეს ს. წულუკიძის წასვენება ქუთაისიდან ხონში. ეს იყო უდიდესი მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიაც ოციათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა და რომელიც 25 ვერსის მანძილზე გრძელდებოდა. გზაში, მიუხედავად წვიმიანი დღისა ამ გრანდიოზულ რევოლუციურ პროცესიას თანდათან ემატებოდა ხალხი სხვადასხვა სოფლებიდან. აქ სოფ. გუბში სტალინმა შემომატებულ მრავალრიცხოვანი დელეგაციის წინაშე წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა, რომელშიაც ჰანიბალურ ფიცს სდებდა ს. წულუკიძის ცხედრის წინაშე საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად, სამღვთო ომისათვის მოუწოდებდა რევოლუციურ ხალხს თვითმპყრობელობის და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მოუხმობდა მუშურ - გლეხურ მასებს რევოლუციურ სოციალდემოკრატიის ირგვლივ გასაერთიანებლად. მენშევიკები დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ ამ სიტყვის გამო, რომელსაც, მათი აზრით, არევდარევა შეჰქონდა რევოლუციური დემოკრატიის რიგებში და სხვ.

ამ დროს მენშევიკ - ბოლშევიკთა ფრაქციული ბრძოლა უმაღლეს წერტილს აღწევდა. კამათი ჩაღდებოდა ყოველფეხის გადადგმაზე, შინ, გარეთ ჭირში თუ ლხინში. ს. წულუკიძის გასვენების დღეს გზაში კამათი, შეხლა-შემოხლა არ შეწყვეტილა. გასვენების შემდეგ დიდი კამათი გაიმართა რამდენიმე ადგილას, — პირველად პ. კიკალიშვილისას (თავმჯდომარეობდა ფ. მახარაძე), მერე კ. ქაცარავასას (თავმჯდომარეობდა ნ. ელიავა) და სხვ. მენშევიკებიდან გამოდიოდნენ: ის. რამიშვილი, რ. არსენიძე, გ. ლორთქიფანიძე, ვ. შავდია, კ. სულაქველიძე და სხვ. — ბოლშევიკებიდან: სტალინი, კ. ქარცივაძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ნიკო ელიავა, შალვა ელიავა, ს. ქავთარაძე, ბებურიშვილი და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე მთელი რიგი სადისკუსიო კრება-მიტინგები, სადაც სტალინი და ბოლშევიკები გააფთრებით ებრძოდნენ მენშევიკებს.

ერთი ასეთი დიდი კრება მოხდა პერევისის რაიონში (ჭიათურის ახლო), სადაც სტალინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მენშევიკები გ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. აქ მენშევიკები სასტიკად დამარცხდნენ.

სოფ. ცხრა-წყაროში (ზემო-იმერეთი) ნარიმან გოცაძის სახლში გლეხთა ყრილობაზე გაიმართა სადისკუსიო შეტაკება სტალინსა და ისიდორე რამიშვილის შორის. იმდენად იყო გამწვავებული ფრაქციული ბრძოლა, რომ განსახილველად უპირატეს გლეხურ მასაში იყო გადატანილი პარტიული უთანხმოების საკითხები (მაგალითად, „ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი“ და სხვ.), რომელიც არსებითად სრულიად არ ეხებოდა ამ გლეხებს. აქ მენშევიკების მხრით იმუშავდა დემაგოგია („ბოლშევიკებს არ უნდათ პარტიაში შემოგიშვანო“ და სხვ.). ამ კრების გლეხების უმრავლესობა მენშევიკებს მიემხრო. სტალინთან დარჩნენ კრების ყველაზე აქტიური ელემენტები.

უნდა გავიხსენოთ კიდევ შესანიშნავი დისკუსია სოფ. კუხში (ხონის რაიონი) რამდენიმე ათასი კაცის თანდასწრებით, რომელიც ცხრა საათის განმავლობაში (საღამოდან დაწყებული დილამდე) გრძელდებოდა. მენშევიკებიდან მაშინ გამოდიოდა ცნობილი მოხევე (დ. ხართიშვილი), ხოლო ბოლშევიკებიდან—სტალინი. მოხევე ურევდა, პარტიულ უთანხმოების მიზეზებს ასხვაფერებდა, ლენინი ბურჟუაზიულ მოაზროვნედ გამოყავდა და სხვ. ზეპირად აციტირებდა თავის აზრების დასასაბუთებლად ლენინის „ჩტო დელატ“ („რა ვაკეთოთ?“), რომელიც, ჩანდა, ჯერ არც კი უნდა ჰქონოდა წაკითხული. და როცა სტალინმა მოხერხებულად მიაწოდა ორატორს ახლად მიღებული ნამდვილი „ჩტო დელატი“: აბა, გვიჩვენეთ, სად ლაპარაკობს ლენინი „ჩტო დელატში“ იმას, რასაც თქვენ აწერთო, — მოხევე ჯერ დაიბნა მერე კი მორთო დემაგოგიას: ინტელიგენტები ხელს მიშლიანო და სხვ. სტალინს თავის სიტყვაში დიდი შრომა არ დასჭირვებია მოწინააღმდეგის პოზიციების სისუსტის გამოსააშკარავებლად და მენშევიკების ოპორტუნიზმის სამხილებლად....

III

ლონდონის ყრილობის შემდეგ (1907 წ.) სტალინი დამკვიდრდა ბაქოში სამუშაოდ. მან დაიწყო მოხსენებების გაკეთებით და ორგანიზაციული მუშაობის გაჩაღებით. მეტად საყურადღებო იყო მისი დიდი მოხსენება რს.-დ. მ. პარტიის ლონდონის ყრილობის შესახებ, რომელსაც ის დაესწრო და რომელზედაც ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. (ანგარიში დაიბეჭდა „ბ. რაბ.“-ში). მოხსენებაში ყველაზე საგულისხმიერო იყო მაშინდელი მიმდინარე მომენტის ანალიზი და ყრილობაზე წარმოდგენილ სხვადასხვა ფრაქციათა და მიმდინარეობათა დახასიათება. მან, სხვათა შორის, ტროცკი და მისი პოზიცია ყრილობაზე სხარტულად დაახასიათა როგორც „კრასივაია ნენუჟნოსტ“.

ბაქოში სტალინს და მის ამხანაგებს (ა. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, ს. ორჯონიკიძე, სარატოვეცი, ფიოლეტოვი, ვაცეკი, ალილუევი, ბ. მდივანი, მაკარი (ნოგინი) ეგორი, აპოსტოლი, კაჩეტკოვი, როთველაძე და მრავალი სხვანი) უნდა შეექმნათ მტკიცე ბოლშევიკური ორგანიზაცია, დაეპყროთ სავსებით ეს ყველაზე უმნიშვნელოვანესი სამრეწველო

ნიკოლო მიწიშვილი

ახალ მოედანზე

ბარათაშვილის ყორანივით, ღამე „ბედითი“,
გაიშალა და ჩააფრინდა ახალ მოედანს.
როგორც შენიშვნა, აწყობილი წვრილი პეტიტით,
მე ვიცდი, ვიდრე მზე ტრამვაის არ გამოიტანს.

აღმართულია აღმასკომზე მაღალი დროშა,
მოსჩანს საათი, როგორც დალი ცხენის ნალისა
და მოედანი ბზინავს, როგორც ცინცხალი გროში
და როგორც ლოყა მომღერალი ზანგი ქალისა.

მწერალთა სახლში ჩამოთავდა მორიგი სხდომა,
„ინ ტირანოსზე“ უფრო ადრე ჩაჰქრა ოპერა,
ღამის დარაჯმა დარაბები შეკინძა ტომად,
ჩაიარა და კომინტერნის ქუჩა მოფერა.

სძინავს მოედანს. მხოლოდ დინჯი საათის ხმაზე
პოლიციელი, ამნუსხნელი კარგის და ცუდის,
ბელურასავით დასკუპდება ასფალტის ტბაზე
და შეეხება გაფერილი ნაგანის ბუდეს.

ჰე კი ამ სივრცემ, ძველ ჭმუნვათა გადამლახველმა,
ამახმაურა ქართლის გულში ჩაქცეულ ბრაზით:
აქ, მეცხრამეტე საუკუნის ხელში, მახვილმა
„ქართლის ცხოვრება“ დაასრულა ბიბლიურ ფრაზით.

და შემდეგ, როცა პეტერბურგის ჩახლიჩა ყინვამ,
ციმბირისაკენ გაბაწრული ვაჟკაცთა ხმები,—
აქ, ძველ თეატრში, ივიწყებდენ ჩაგრულთა გმინვას
როსსინისა და ვარანცოვის ბრწყინვალე ყმები.

მაგრამ თეატრიც, ქარვასლებიც, ვაჭართა ბუდეც,
მეშჩანთა სულის აკროპოლი—ალაბი, დახლი,
შთანთქა დროებამ და ლენინის ალმავალ ზღუდეს
სემინარიის გადმოჰყურებს მდუმარე სახლი...

აქ, ჯუღაშვილი, ხშირად მდგარა პუშკინის ახლო.

ეხლა—ტრიუმფით აქ შემოდის ყოველი ქუჩა
და მეც სამშობლოს სიამაყით გული მევსება,
როცა ძმასავით აქ მიღიმის ზარბაზნის ტუჩი,
როცა დროშები ფართხალობდენ ოქროს თევზებად.

და ხალხის ძმობა, რაც ოქტომბრით მონაბერია,
ამ მოედანზე ირაზმება, როგორც გმირობა,
დედას ქართლისას ვარსკვლავისთვის რაც უმღერია,
აქ დადებულ ფიცს ექსოვება ახალ პირობად.

მაშ, ალაქაქდი, ჩემო სიმწრით გაზრდილო დღეო,
ველარ დაგჩრდილავს წარსულ დროთა მწარე ნაღველი:
ძვირფას ელლადას დაუბრუნდა მხნე ოდისეოს,
ზღვების, ხმელეთის და სიკვდილის გადამლახველი.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ ჩააბარა მზა პროდუქცია

მიღებულია ცნობა **ჩაქვის** ჩაის ფაბრიკის დირექტორის ამხ. **სუბაკისაგან** იმის შესახებ, რომ ფაბრიკამ 15 მაისს ვადაზე ადრე გადაუგზავნა **„ცენტროსოიუზს“** 1935 წლის მოსავლიდან 145 ყუთი **ხარისხოვანი ბაიხის ჩაი** — 7.634 კილოგრამის რაოდენობით.

ამრიგად ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ პირველმა რესპუბლიკაში დაიწყო ჩაის მზა პროდუქციის ჩაბარება.

ამხ სტალინის სახ. ტფილისის სარემონტო ქარხნის საელექტრომავლო საოსტატის კომკავშირის ორგანიზატორი ამხ. მაისურაძე კომკავშირელებს უკითხავს ქარხნის გაზეთს „ჩვენი საყვირს“.

თესვის გეგმა შესრულებულია

(ჯულელის რაიონი)

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სტალინური წესდების საფუძვლიანად დამუშავების შედეგად, საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობის საფუძველზე, ყოველგვარი ანტიპარტიული გადახრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით ჯულელის რაიონის პარტიულმა, კომკავშირის, საბჭოთა და პროფორგანიზაციებმა შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობით საგაზაფხულო თესვის გეგმა შეასრულეს შემდეგი მაჩვენებლებით:

დათესილია კოლმეურნეობებში: სიმინდი — 2509,5 ჰექტარზე, სოია — 404 ჰექტ., ლობიო — 147,3 ჰექტ., ბოსტანი 21 ჰექტ., ნათესი სილოსისათვის — 30 ჰექტ., იონჯა — 58,5 ჰექტ., სოიას სათიბათ — 1,5 ჰექტ.

დათესილია ერთპიროვნულ მეურნეობებში: სიმინდი — 6399,7 ჰექტ., სოია 1446 ჰექტ., ლობიო 453 ჰექტ., ბოსტანი — 80 ჰექტ., სოიას სათიბათ — 20 ჰექტ.

დათესილია სულ ორივე სექტორში: სიმინდი გეგმით იყო 8900 ჰექტ., ფაქტიურად დაითესა 8909,2 ჰექტ., (100,1 პროც.), სოია 1400 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 1550 ჰექტარი (გეგმის 110,7 პროც.), ლობიო დათესილია 600,3 ჰექტ., (159,5 პროც.), ბოსტანი 101 ჰექტ. (101 პროც.), ნათესი სილოსისათვის — 30 ჰექტარი (100 პროც.), იონჯა 58,5 ჰექტარი (97,5 პროც.), სოია სათიბათ 21,5 ჰექტარი (107,5 პროც.)

დამუშავებულია ვენახი კოლმეურნეობებში: გასხლულია ვენახი 871,6 ჰექტარზე, გათოხნილია — 832,1 ჰექტ., მოსარულია — 809 ჰექტ., გაშენებულია ახალი ვენახი — 25 ჰექტარზე, ამერიკული სადედე — 4 ჰექტარზე, დამყნილია ვაზი 370.500 ცალი.

ერთპიროვნულ მეურნეობებში: გასხლულია 2444,9 ჰექტ., გათოხნილია — 2444,9 ჰექტ., მოსარულია — 2294,6 ჰექტ., დამყნილია 445.000 ცალი.

სულ ორივე სექტორში: გასხლულია ვენახი — 3316,5 ჰექტ. (გეგმის 100 პროც.), თოხნა ჩატარებულია 3.277 ჰექტარზე (99 პროც.), მოსარვა — 3103,9 ჰექტ. (93,5 პროც.), ახალი ვენახის გაშენების გეგმა (25 ჰექტარი) შესრულებულია 100 პროცენტით, ამერიკული სადედეს — 100 პროც., ვაზი დამყნილია 815.500 ცალი (228 პროცენტი), ნაკელი შეტანილია 8143 ტონას რაოდენობით (101,8 პროც.), დაფნა გაშენებულია 2 ჰექტარზე (100 პროც.). ბროწეული — 4 ჰექტარზე (100 პროცენტით).

საქ. კ.პ. (ბ) ჯულელის რაიკომის მდივანი **გ. შაბუნია**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე — **ნ. შარიქაძე**

რაიმიწგანის გამგე — **გველესიანი**

ექადიელ კოლმეურნე ქალებთან

(მახარაძე, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ექადიის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში ჩვენ საუბარი გვქონდა ჩაის კრეფის მაისის გეგმაზე და კოლმეურნეობის მუშახელზე.

— მაისში ჩვენმა კოლმეურნეობამ უნდა მოკრიფოს 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **მარიამ თუმანიშვილმა.**

— არ შეიძლება მოიკრიფოს — წამოიძახა ელისაბედ ჩავლეიშვილმა.

— ელისაბედ, ნუ იცი შენ მასე, — უსაყვედურეს მას ქალებმა.

ელისაბედი გაცხარდა:

— რაი ნუ ვიცი ქალებო, დღეში თუ 30 ქალის მეტი არ გამეივიდა სამუშაოზე, ჩვენ 8 ათას კილო ჩაის მოვკრიფავთ?!. იანგარიშე და ქე ნახავ!

იანგარიშეს და ასე გამოვიდა: ექადიის კოლექტივმა ყოველდღიურად უნდა მოკრიფოს 400 კილოგრამი ჩაი. თუ 35 მკრეფელს ჩაეთვლით, თითო ქალმა უნდა მოკრიფოს 11—12 კილოგრამი. დღეს კი მთელ ბრიგადაში ლიზა მენაბდემ მოკრიფა ყველაზე მეტი და ეს იყო — 6 კილოგრამი.

— ახლაც ნუ ვიცი ასე?!—ნინონის მოგებით უთხრა ქალებს ელისაბედმა. მაშასადამე, საჭირო ყოფილა მეტი მუშახელი, რაც კოლექტივს გააჩნია, მაგრამ სამუშაოზე არ გამოდის.

— სხვას რაღა უნდა უთხრათ — თქვა ერთმა ქალთაგანმა, როცა ზოგიერთი კომუნისტის ცოლები და ოჯახის წევრები არ მუშაობენ კოლექტივში.

ზოგნი აქაც გვჯავრობენ — ვინ გვყავს ასეთი, და მან ჩამოთვალა:

— **პლატონა კონტრიძის** ცოლს, **ნინას** უმუშავია როისმე?!. არა. ხოდა, მისი ქმარი სხვებს მოუწოდებს — იმუშავეთო. ვანიკო კონტრიძის დედა, ლიზა გინახავენ ჩაის კრეფაზე? არა... ანუშკა მიქატაძე რომაა ნიჟაიე მიქატაძის ცოლი გამოსულა იგი როისმე?!. ანდა ეგერ, პატარძალი, რომ ბრძანდება კომკავშირელ მიშა მენაბდის ცოლი, იმას არ ეკადრება მუშაობა?!.. ან კიდევ, ივდითი, ლუკა ესაძის დედა. რამდენი ერთი მოგითვალო.

და განაგრძო:

— აბა, ეუფუნა აფაქიძე, აკვილინა გამცემლიძე, ბაბუსი გოგუაძე, ანეტა გოგუაძე, ელისაბედ ჩავლეიშვილი, თებრონე სურგულაძე, ელისაბედ კვაჭანტირაძე, ივდითი კონტრიძე, მარო ევგენიძე, ვერა თავაძე და დუნია ტრეტიაკოვა, რომ მუშაობს, ყველაი, რომ ისე მუშაობდეს, მაშინ 8 ათას კი არა და 9 ათას კილოსაც კი მოვკრეფთ, შენი ჭირიმე!

არაფრად არ ვარგა, რომლესაც ექადიელი კომუნისტების ცოლები, და ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც სახელად კოლექტივის წევრებად ითვლებიან, არ მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ ეს საკითხი სერიოზულად უნდა დააყენოს და მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩაის კრეფაზე კოლმეურნე ქალთა მასობრივად გამოყვანისათვის.

ნ. პაიჭაძე.

ხაჩუმის რაიონის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის დამკვრელი ამხ. ე. წულაია ამზადებს მანდარინის ნერგს დარგვისათვის

ცენტრი და აქიდან მთელი ამიერკავკასია. ამ მიზანს კიდეც მიაღწია. სტალინის მუშაობა სწორედ აქ, პროლეტარულ ბაქოში გაიშალა უმწვერვალესად.

მთელი მუშაობის ხელმძღვანელი იყო ბაქოს კომიტეტი და მისი აღმასრულებელი კომიტეტი (ერთ დროს უკანასკნელი სამი კაცისაგან შესდგებოდა) სტალინის მეთაურობით. რაიონებში მუშაობდენ რაიონული კომიტეტები. ბაქოს კომიტეტის განკარგულებაში ბლომად იყვნენ მტკიცე, მაგარი, „გაკაჟებული“, მომზადებული ბოლშევიკები. მაგრამ მთელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შემჭიდროების და განმტკიცებისათვის იდეური და ორგანიზაციული ბრძოლის მთავარი სიმძიმე სტალინს აწვა. ის უდგამდა სულს და აერთიანებდა მთელ მუშაობას. ერთსადაიმავე დროს ორგანიზატორიც იყო, აგიტატორიც და პროპაგანდისტიც, პრაქტიკოსიც და თეორეტიკოსიც. ამასთანავე ხელმძღვანელობდა არალეგალურ „ბაკინსკი რაბოჩის“, რომლის გამოცემა იმ პერიოდში უდიდეს სიძნელეთა გადალახვას მოითხოვდა, ირიბულად ხელმძღვანელობდა აგრეთვე პროფესიული კავშირების ორგანოს „გუდოკს“. ამზადებდა რევოლუციურ კადრებს. აფართოებდა მუშაობას ყველაზე ჩამორჩენილ მუსლიმან მუშებს შორის („ჰუმეთის“ საშუალებით), ატარებდა ნავთის სამრეწველო მუშების გაფიცვებს და სხვ., აწარმოებდა ინტენსიურ ბრძოლას მენშევიკების და ესერების გავლენის შესამუსრავად მუშათა რაიონებში. ამ მუშაობასთან ერთად სტალინს უხდებოდა მუშაობა ბოლშევიკურ-პარტიული მოქმედების გასაერთიანებლად ამიერ-კავკასიის მასშტაბითაც.

მთავარი მუშაობა რაიონებში (ბალახანა, სურახანა, ბიბიეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი, რკინის გზა) იყო გადატანილი. სტალინი პირველად იმ რაიონში მიდიოდა რომელშიაც უფრო მომძლავრებულ შემოტევაზე გადმოვიდოდენ მენშევიკები და ესერები. მერე კი „ჩავდა“ ბიბიეიბათში, რომელიც მენშევიკების ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამასთანავე ბიბიეიბათში ყველა რაიონზე უფრო საგრძნობლად იყვნენ დარჩენილი პოლიციური სოციალიზმის ნაირსახეობის — „შენდრიკოვშჩინის“ ნაშთები, რომლებიც ათახსირებდენ ჩამორჩენილ მუშების შეგნებას („ოლეუმ“ და სხვა., ფირმები). სტალინის მიერ შექმნილმა ორგანიზაციამ აქ მოკლე ხანში გატეხა მოწინააღმდეგეთა შლიერება, საბოლოოდ ჩაფუშა დემაგოგიური, ოპორტუნისტული ნაშთების ორგანიზაციული მუშაობა და ბიბიეიბათი ბოლშევიკურ რაიონად გადააქცია.

მთავარი ბოლშევიკური ძალები განაწილებული იყვნენ რაიონებს შორის, სადაც ისინი გამოუთმობით მუშაობდენ. ბალახანაში იყვნენ მიმაგრებული ა. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი და სხვ. ერთხანს იქ მუშაობდა ბ. მდივანიც. მაგრამ ამასთანავე სისტემატიურად იმართებოდა საერთო „სადისკუსიო ჩამოვლა“, როდესაც უფრო თვალნათლივ ხდებოდა ბოლშევიკების მიერ ახალ-ახალი პოზიციების აღება. სტალინის უშუალო მონაწილეობით დიდი დისკუსიები ტარდებოდა ყველგან. თეთრ ქალაქში — მოწინააღმდეგენი დაერიენ ერიმანეთს. შავ-ქალაქში (ფირმა ალაო მახსოვს) სადისკუსიო კრებიდან ვაიქცა ნოე რამიშვილი, რომელიც დროგამოშვებით ჩამოდიოდა ხოლმე ტფილისიდან. მენშევიკებიდან გამოდიოდენ უმთავრესად სეით დევდარიანი, პეტროვსკი, პეროვი, ის. რამიშვილი, ეუსტუსი და მრავალი სხვანი. ესერებიდან: რიზელი, ათაბეკიანი, ი. ქარცივაძე და სხვ. ესერები, მენშევიკებთან შედარებით, ნაკლებ საშიშარს, მაგრამ მაინც გავლენიან ძალას წარმოადგენდენ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი რაიონების სარეწაოებში. ბოლშევიკებიც ამ პუნქტებს უშენდენ და ადვილად ახერხებდენ პროლეტარული ატმოსფეროს გაწმენდას ესერულ სულისკვეთებისაგან.

დამახასიათებელია სტალინის როლი ნავთის სამრეწველო მუშების დიდ ბრძოლაში კოლექტიურ ხელშეკრულების დასადებად და მათ „სათათბირო“ კამპანიაში ბაქოს ნავთის მრეწველებთან. ამ თათბირებში მუშების მონაწილეობის საკითხი სადაო იყო როგორც თვით ხელმძღვანელ ორგანიზაციებში, ისე მუშათა ფართო მასებში. ზოგი ბოიკოტს უცხადებდა ამ თათბირებს, ზოგიც ენერგიულად იბრძოდა მათში მონაწილეობის მისაღებად. ბოლშევიკებმა სტალინის მეთაურობით გადაწყვიტეს თათბირების გამოყენება პროლეტარიატის შესაკავშირებლად და მათში მონაწილეობის საკითხი დაუკავშირეს გარანტიების საკითხს. სტალინი და მისი მომხრენი იცავდენ მონაწილეობას თათბირში იმ აუცილებელი პირობით, თუ მრეწველები აღიარებდენ მუშებს, მათი პროფესიონალური კავშირების სახით, თანასწორუფლებიან მხარედ და მათ საჭიბით უზრუნველყოფილი ექნებოდათ კრების და აგიტაციის თავისუფლება. პიროვნების ხელშეუხებლობა, დელეგატების არჩევის თავისუფლება, მუშების და მრეწველობის რაოდენობრივ თანასწორი წარმომადგენლობა და სხვ. ნავთის მრეწველები იძულებული იყვნენ ეცნოთ ეს „კონსტიტუციური გარანტიები“ და ეთხოვათ მთავრობისათვის მათი დამტკიცება.

ამ სწორი პოლიტიკის მეოხებით პარტიამ შესანიშნავად გამოიყენა მთელი ეს „სათათბირო“ კამპანია კაპიტალისტებთან. ამ პოლიტიკას ის მოჰყვა შედეგად, რომ ბაქოში თვითმპყრობელობის შავბნელი რეაქციის დროს, თავისუფლად მუშაობდა რამდენიმე კვირის განმავლობაში „მუშათა პარლამენტი“, რომელიც საჯაროდ იხილავდა თავისი კლასობრივი მდგომარეობის საკითხებს, თავის უფლებებს და ინტერესებს....

სტალინს შეეძლო განუწყვეტლივ დღედაღამე ემუშავნა, როცა ამას საქმე მოითხოვდა. მუშაობის ინტერესები ყლაპავდა მთელ მის ყურადღებას და პირად ცხოვრებას. იყო პერიოდი, როცა ორგანიზაციის სალაროს თვეში მხოლოდ თვრამეტ-თვრამეტი მანეთის მიცემა შეეძლო თავის მეთაურებისათვის. ასეთ პირობებში ცხოვრობდა სტალინიც, რომლის მუშაობის ინტენსივობას ვერაფერი „სივიწროვე“ ვერ აფერხებდა. ხანდახან, როდესაც სტალინს და მის ამხანაგებს ცოტაოდენი „ზედმეტი“ გროშები დაუგროვდებოდათ, ხდებოდა ერთგვარი „უკლონიე“. ეს იყო „გადახვევა“ თუ „შეხვევა“ სადმე მივარდნილ რესტორანში (ან შესვლა კაი რესტორანის განაპირა კაბინეტში) პურის საჭმელად. ეს უფრო ხდებოდა რაიმე დიდი მუშაობის ჩატარების შემდეგ, უფრო კი გამარჯვებით გათავებული დისკუსიების შემდეგ. ტერმინი ძალიან უყვარდა ს. სპანდარიანს, რომელიც აგრეთვე «уклонялся» სხვებთან ერთად აღნიშნულ მომენტებში. ერთი ასეთი ამოჩემებული რესტორანი იყო „სვეტი“, სავაჭრო ქუჩაზე. აქ იმგვარად იყო მოწყობილი „ჩვენი“ კაბინეტი, რომ თავისუფლად შეიძლებოდა გულღია ლაპარაკი, გემოიანი შექცევა, ხმამაღალი სიმღერაც კი. სასიამოვნოდ მღეროდა ზოგიერთ ქართულ სიმღერებს სტალინი (მაგ., „ნეტავი, გოგო, მე და შენ“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და სხვ.) მეორე საპურმარილო შესახვედრი ადგილი იყო „ანონას“ ერთ-ერთი კაბინეტი (პასაჟისკენ). აქ ერთი ასეთი ამხანაგური შეხვედრა „მიძღვნა“ ციხიდან ახლად განთავისუფლებულ ბუდუ მდივანს.

(დასასრული ხვალ)

პრესის მიმოხილვა

რაც მთავარია დაავიწყდა

„შეძლებულ ცხოვრებისაკენ“—

ტფილისის რაიონი

თითოეული რაიონული გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ მთავარი საკითხების გაშუქებას, რომლებიც ცენტრალურ, საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს მისი რაიონისა და, მაშასადამე, მისთვისაც.

ტფილისის რაიონის გაზეთის „შეძლებული ცხოვრებისაკენ“-ის 14 ნომრის (1 თებერვლიდან 18 აპრილამდე) გაცნობა გვარწმუნებს, რომ გაზეთი ვერ აშუქებს იმ საკითხებს, რომლებსაც მთავარი ადგილი უნდა დასთმობოდა მის ფურცლებზე.

დავიწყოთ პარტიული მშენებლობის საკითხებით. როგორც ვიცით, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიულ - ორგანიზაციულ და პოლიტიკურ - აღმზრდელობით მუშაობას, კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდის და მარქსისტული - ლენინური თეორიით მათი შეიარაღების საქმეს.

ამ ხნის განმავლობაში გაზეთი დაკმაყოფილებულა მხოლოდ იმით, რომ დაუბეჭდავს ერთი და ისიც ძალზე სუსტი წერილი კოჯრის ტერიტორიული პარტკომის მუშაობის შესახებ, ერთი წერილი კიდევ (რაიკომის მასალებიდან გაკეთებული) პარტიული კრებების მოუმზადებლად ჩატარების შესახებ. ისეთ საკითხზედაც კი, როგორიცაა თანამგრძნობთა შორის მუშაობა, გაზეთს მოუთავსებია მხოლოდ ერთი წერილი. გაზეთი ძალზე სუსტად აშუქებს პარტიულ განათლების საკითხსაც. იბეჭდება მშრალი და ზოგადი ხასიათის წერილები, რომლებიც უფრო იმას ეხება, თუ რამდენი მსმენელია წრეში, როგორია დასწრება. ხოლო თუ რა თემას გადიან წრეებში, როგორია პროპაგანდისტის როლი, რამდენადაა დაინტერესებული პარტიული კომიტეტი პარტგანათლების დაყენებით, ამას გაზეთი ნაკლებად ეხება. გარდა ოფიციალური მასალებისა გაზეთში ვერ შეხვდებით პარტიული მშენებლობის რომელიმე დარგის შესახებ რედაქციის მიერ სერიოზულად დამუშავებულ მასალას.

ავიღოთ პარტიულ ორგანიზაციული მუშაობის დარგის ისეთი ცალკე საკითხები, როგორიც არის პარტიული კრებების მომზადებულად ჩატარება, კომკავშირისათვის პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა, პარტდავალებათა სწორად განაწილება და შემდეგ მათი შესრულების შემოწმება. ცალკე კომუნისტების კარგად შესწავლა, კადრების შერჩევა და შესაფერის სამუშაოზე გამოყენება. აიღეთ თუ გინდ თანამგრძნობთა შორის მუშაობა რაზედაც ამდენს ლაპარაკობს მთელი პარტია, რატომ არ ცდილა ამ გაზეთის რედაქცია პარტიული მუშაობის ეს საინტერესო დარგი შეესწავლა ცალკე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და შემდეგ გამოეტანა იგი გაზეთის ფურცლებზე.

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე. ეს არის საკოლმეურნეო სტალინური წესდების დამუშავების მიმდინარეობა. როგორც სხვაგან, ისე ტფილისის რაიონშიც ამ წესდებას ამუშავებდენ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, ცალკე ბრიგადებში, მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებში წრეებსა და სამკითხველოებში. გაზეთს აქ ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინა წესდების პროპაგანდის საქმეში. მას უნდა, მოეცა წერილები კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ახალი სტალინური წესდების დამუშავების და მიღების მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა გაზეთს უნდა ებეჭდა კოლმეურნეთა კრებებზე ყრილობის დელეგატის ამხ. ქოჩაროვის მიერ გაკეთებული ანგარიშები, რომელიც ამ გაზეთისათვის საუკეთესო საპროპაგანდო მასალას წარმოადგენს. ნამდვილად კი გაზეთს ამ 14 ნომერში არც ერთხელ არ მოუცია ყრილობის დელეგატის ამხ. ქოჩაროვის მიერ კოლმეურნეთა კრებებზე გაკეთებული მოხსენების ცოცხალი ანგარიში. სუსტადაა გაშუქებული საკითხი იმის შესახებ, თუ კოლმეურნეობები ამ წესდების საფუძველზე, როგორ აწარმოებდენ წესდების შემუშავებას და მათ მიღებას, რა ახალსაკითხებს აყენებდენ, ადგილობრივ პირობების გაუთვალისწინებლობას ხომ არ აქვს ადგილი და სხვ., გაზეთი მხოლოდ იმითი დაკმაყოფილდა, რომ ამ ხნის განმავლობაში წესდების დამუშავების საკითხზე მოგვცა ერთი მეთაური წერილი (სამი მარტი № 9). ორი წერილი კიდევ კოლმეურნეობებში წესდების დამუშავებისა და, ყოველ კოლმეურნიმდე მისი დაყვანის შესახებ და დაბეჭდა კიდევ სამიოდე ცნობა წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით რაიონში ახალი კოლმეურნეობების ჩამოყალიბების შესახებ.

გადავიდეთ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც თითქმის სრულიად გამორჩენია გაზეთს მხედველობიდან. ეს არის მეცხოველეობა.

ტფილისის რაიონში არსებობს მეცხოველეობის საკოლმეურნეო 17 ფერმა, სარძეო - სასაქონლო—16 ფერმა და მეღორეობის 6 ფერმა, როგორც ვიცით თებერვალი, მარტი და ნაწილობრივ აპრილი დოლიანობის გახურებული პერიოდი იყო, რა გააკეთა გაზეთმა მეცხოველეობის განვითარებისთვის ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში? თითქმის არაფერი, გაზეთს არ გაუშუქებია დოლიანობის მიმდინარეობა ცალკე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არ გაუშუქებია, თუ როგორ იბრძოდენ ცალკე კოლმეურნეობები ნამატის შენარჩუნებისათვის, როგორ უვლიდენ საქონელს და სხვ., ავიღოთ თუგინდ იაილაებზე საქონლის გარეკვის საქმე, 20 მაისიდან ტფილისის რაიონის 42 ათასამდე ცხვარი დაიწყებს დენას იაილებისაკენ, გაზეთს კი იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ცალკე კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეები, ამ მეტად სერიოზული საქმისათვის, კრინტიც არ დაუძრავს; გაზეთი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ 15 მარტის № 11-ში მოათავსა წერილი დოლიანობის კამპანიის დაწყებაზე.

გაზეთი კეთდება აპარატული წესით, კოლმეურნეთა და გლეხკორთა მონაწილეობის გარეშე. ფსევდონიმებით ხელმოწერილ წერილებს ამ გაზეთში უკავია ნახევარზე მეტი ადგილი.

გაზეთმა გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. მან უნდა ჩაჰჭიდოს ხელი რაიონის აქტუალურ საკითხებს, საბრძოლო ამოცანებს, მხოლოდ ამ გზით შესძლებს გაზეთი გახდეს ერთ-ერთ უმახვილეს იარაღად შეძლებულ ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

საქ. ჯანსახკომის მოხსენების გამო, მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ

I. მოისმინა რა ჯანსახკომის მოხსენება მალარიის და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ, ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმი აღნიშნავს:

მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არის მთელი რიგი მიღწევები, რაც გამოიხატა მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა ეპიდემიების ნაწილობრივ შემცირებაში: მთელ რიგ სამრეწველო, რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებში (ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, ალაზანჰესი, ყვარლის, ალაზნის მარცვლეულობის საბჭოთა მეურნეობა, საქ. ჩაი და სხვ.) ტროპიკულ დაწესებულებათა სამკურნალო ქსელის თვალსაჩინო ზრდაში, პროფილაქტიკურ მუშაობის გაძლიერებასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

მიუხედავად ამისა, დღემდე ადგილი აქვს ამ საქმეში მეტად დიდსა და თვალსაჩინო ნაკლოვანებებს; ასე მაგ. თუმცა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არსებობენ მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტები, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფი ჯერ არა ჩანს; წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის ერთ-ერთს მთავარ ამოცანას შეადგენს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვერ ასრულებს ამ მხრით თავის მოვალეობას. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა დღემდე განსაკუთრებით ჯანსახკომისარიატის ხაზით წარმოებდა და წარმოებს, მაშინ როცა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯანსახკომთან ერთად უნდა იყვნენ ჩაბმულნი, როგორც სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანოები და დაწესებულებები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელსაც ახლო ეხება ეს საქმე. ეს იმას მოწმობს, რომ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის და ამ სენის მოსპობის მნიშვნელობა ჯერ არაა სათანადოთ შეფასებული. ამით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ ამ დარგში ჩვენ მიერ აქამდის არაა მოწყობილი ნამდვილი ბოლშევიკური მიდგომა. მასთან ყველამ იცის, რომ საქართველოში მალარია ფართოდაა გავრცელებული. ამიტომ მალარიის და სხვა ტროპიკულ დაავადებათა წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ღონისძიებები შეერთებული (კომპლექსური) ხასიათისა სხვა და სხვა ორგანოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ.

II. სხვადასხვა უწყება და ორგანიზაციები არ არიან დაინტერესებული მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმით; ჯერ კიდევ არ შეუგნიათ ის აზრი, რომ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ჯანსახკომისარიატის საქმე არ არის; მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის ამგვარ შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს; ამ ბრძოლას მასობრივი ხასიათი უნდა მიეცეს; ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ საზოგადოებრივი ძალები და ორგანიზაციები, უნდა გაჩაღდეს ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა, რათა მეორე ხუთწლედის დასასრულს მალარია, როგორც მასობრივი დაავადება, სავსებით მოსპობილ იქნეს; ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვახდენთ ამ დარგში ნამდვილ გარდატეხას. ხოლო ეს მოხდება მაშინ, თუ სათანადო სახელმწიფოებრივ-სამეურნეო ორგანოები და ორგანიზაციები ჯანსახკომთან ერთად ერთ-ერთ თავის ამოცანად დაისახავენ ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას და ფაქტიურად ჩაებმებიან სათანადოდ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

III. უწინარეს ყოვლისა ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება ისახავს მიზნად განსაკუთრებით ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული უნდა იქნეს მალარიის დაავადების გამომწვევ მიზეზის—კოღოს მოსპობისაკენ.

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით არ არის მოწესრიგებული და სწორად გამოყენებული სარწყავი სისტემები (ყარაია, ბორჩალო, ალაზანი, მაშველი, ტირიფონი და სხვ.), რაც ხელს უწყობს ხელოვნურ დაჭაობებას და მაშასადამე, მალარიის გავრცელებას; ა.-კავკასიის რკ. გზის ტერიტორიისა და მშენებლობის ხაზით დიდი ხანია ადგილი აქვს ხელოვნურ დაჭაობიანებას და ამის წინააღმდეგ რკინისგზის ორგანოები თითქმის არავითარ ზომებს არ ღებულობენ. ასევე უნდა ითქვას კოლხიდმშენის სამუშაოების ზოგიერთ ადგილას არასაკმაო სანიტარულ ჰიდროტექნიკურ მეთვალყურეობის შესახებ, რის გამო იქ ალაგ-ალაგ ადგილი აქვს ხელოვნურ დაჭაობებას (ფოთი, ცივა, ტეხური, ხობი), მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ჯანსახკომთან დადებულ ხელშეკრულების შეუსრულებლობა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში (კოლხიდმშენი, სამტრესტი, ყვარელი, აგარის შაქრის ქარხანა და სხვ).

ზოგიერთ საწარმოს მიერ გამოწვეული ხელოვნური დაჭაობება დასახლებულ ადგილებში, როგორც მაგ., მეთევზეობასა (ჯაპანაში) და აგურ-კრამიტის წარმოების სხვადასხვა ადგილას; კომუნალურ მეურნეობის მიერ, ნაცვლად ადგილების გაჯანსაღებისა, ხშირად ხელოვნური ჭაობების გაჩენა (ტფილისი—საბურთალო); ქალაქის საბჭოების, რაიაღმასკომების და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისადმი სრული უყურადღებობა.

აღნიშნულის გამო საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს (წყალთა მეურნეობის ხაზით):

ა) გააძლიეროს მუდმივი ზედამხედველობა სარწყავ სისტემების ექსპლოატაციისა, მიმდინარე რემონტისა და წყლის წესიერ სარგებლობაზე ხელოვნური დაჭაობების თავიდან ასაცილებლად.

ბ) ერთი თვის ვადაში დაამუშაოს სარწყავი წყლის სარგებლობისა და ექსპლოატაციის წესები და წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

გ) მიწსახკომმა სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად გაითვალისწინოს მალარიის მხრით საშიშ დაჭაობებულ ადგილების ამოშრობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა 1936 წლისათვის, შეუთანხმოს ჯანსახკომისარიატს და არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოისა წარუდგინოს სახკომსაბჭოს განსახილველად.

2 დაევალოს ა.-კ-ის რკ. გზ. სამმართველოს, აგრეთვე ა-კ. ახალი რკ. გზების მშენებლობას, საქართველოს რკ. გზების ტერიტორიის ფარგლებში დაჭაობებული ადგილების სრული გაჯანსაღების მიზნით სამუშაოთა კალენდარული გეგმა ორი დეკადის ვადაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს.

3. დაევალოს კოლხიდმშენს გააძლიეროს ტექნიკური ზედამხედველობა მიმდინარე სამუშაოებზე და არ დაუშვას ადგილების ხელოვნური დაჭაობება. მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი ახლად დაჭაობებულ ადგილების ამოსაშრობად.

4. დაევალოს საქართველოს კომუნალურ მეურნეობის სახ. კომისარიატს ბათომსა და ფოთში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა საჭიროებისათვის გაიღოს 300.000 მან. (ბათომისათვის 150 ათასი მან., ფოთისათვის—120.000 მან. ნავთსადგურის ფარგლებში—30.000 მან.), მუშაობის პროექტის ჯანსახკომთან წინასწარ შეთანხმებით.

5. წინადადება მიეცეს კურორტთა მთავარ-სამმართველოს ორი დეკადის ვადაში დაამუშაოს საკურორტო ადგილებზე მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი და დაუყოვნებლივ შეუდგეს მათ ცხოვრებაში გატარებას.

6. წინადადება მიეცეს ზესტაფონის ფერომშენის ქარხნის დირექციას 1935 წ. ლიკვიდაცია უყოს ყველა დაჭაობებულ ადგილს ქარხნის ტერიტორიაზე.

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სს ცაკს, აჭარისტანის ავტ. სს ცაკს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცაკს, ყველა ქალაქის საბჭოსა და რაიაღმასკომს თავიანთი ტერიტორიებზე აღრიცხონ ყველა დაჭაობებული ადგილი, შეადგინონ სათანადო რუკა და ამოშრობის გენერალური გეგმა, ხოლო მცირე წყალსაცავებისა და დაჭაობებულ ადგილების ლიკვიდაცია მოახდინონ მიმდინარე კეთილმოწყობის ხაზით. გარდა ამისა, 1936 წლისთვის გაითვალისწინონ კონკრეტულ სამუშაოთა გეგმა სათანადო ხარჯთაღრიცხვის შედგენით, შეუთანხმონ ჯანსახკომისარიატს და არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 აგვისტო-ისა წარუდგინონ სახკომსაბჭოს განსახილველად.

8. წინადადება მიეცეს განსახკომს 1935—1936 სამოსწავლო წლიდან გაატაროს ცხოვრებაში საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება სკოლებში ტროპიკული მედიცინის საფუძვლების სწავლების შესახებ.

9. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას: საკავშიროს, რესპუბლიკურსა და ადგილობრივს (საქართველოს ჩაის, საქ. რამის, სამტრესტს, ლიმონტრესტს, მეღორეობის ტრესტს, მძიმე მრეწველობის რწმუნებულს, ადგილობრივ მრეწველობის კომისარიატს. ტყის მრეწველობის კომისარიატის რწმუნებულს, საქ. მიწსახკომს, კურორტთა მთავარსამმართველოს, ენგურის ქაღალდის კომბინატს, საქ. თევზს, რიონჰესსა და სხვ.) ბოლო მოუღონ სამალარიო სანიტარულ მინიმუმისა და მალარიის საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებათა შესრულების შეუფასებლობას, რაც გათვალისწინებულია ა.-კ. და საქ. სახკომსაბჭოს მთელი რიგი დადგენილებებით, — როგორიცაა:

ა) სანიტარულ - ჰიდროტექნიკური ღონისძიებანი (მცირე ჭაობების ამოშრობა, თხრილების გაწმენდა, წყლის მდინარეობის რეგულირება და სხვ.).

ბ) კოღო-ანოფელესის მატლთა ბუდეების დამუშავება ნავთისა და მაზუთის მოპკურებით, პარიზის მწვანის მოფრქვევით, გამბუზია თევზების ფართო გამოყენებითა და ევკალიპტების დარგვით.

გ) დაფრთიანებული კოღოების დახოცვა სადგომებში, კოღოს კბენისაგან მუშების მექანიკური დაცვა (ჩარდახების მოწყობა, კარ-ფანჯრების ბადეება).

დ) ჯანსახკომის ორგანოებისათვის სადგომების, ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებათა და მუშახელის მიწოდება, ბონიფიკატორების დასახმარებლად.

ე) მუშების კულტ-ყოფაცხოვრებითი მომსახურეობის გაუმჯობესება.

ვ) მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა დასაფინანსებლად ჯანსახკომთან დადებულ ხელშეკრულებათა თავის დროზე შესრულება.

11. წინადადება მიეცეს ყვარლის რაიაღმასკომსა და სამტრესტის ყვარლის საბჭოთა მეურნეობას 1935 წლის დამლევამდე შეასრულოს გამაჯანსაღებელი ჰიდროტექნიკური სამუშაოების გეგმა იმ ადგილებში, რომლებიც ყვარლის რაიაღმასკომისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთებული ძალითა და სახსრებით უნდა ყოფილიყო გაჯანსაღებული.

12. წინადადება მიეცეს აგარის შაქრის კომბინატს 1935 წლ. დამლევამდე შეასრულოს საქ. სახკომსაბჭოს 1933 წ. 7 დეკემბრის დადგენილების ის ნაწილი, რაც კომბინატის ტერიტორიაზე სანიტარულ ჰიდროტექნიკური სამუშაოების გატარებას შეეხება.

13. წინადადება მიეცეს ზესტაფონის ფერომშენს გააძლიეროს ტემპები ფერომშენის ტერიტორიაზე გამაჯანსაღებელი მუშაობისა, ტროპიკულ ინსტიტუტის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად.

14. დაევალოს ყველა პროფკავშირს, კომკავშირსა და პიონერულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესას, აქტიურად ჩაებან მალარიისა და სხვა ტროპიკულ დაავადებათა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

15. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკებისა და სამხრეთოსეთის ავტ. ოლქის ცაკებს, ყველა რაიაღმასკომებს განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში სანიტარული მინიმუმის წესები და პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ბინებში ფეხსადგილების მოწყობასა და მათ სუფთად დაცვას. დაადონ ჯარიმა კანონით განსაზღვრული რაოდენობით საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ცალკეულ მოსახლეობაში ფეხსადგილების უქონლობის, ან ანტისანიტარული მდგომარეობის გამო, ხოლო ფეხსადგილების აუცილებლად მოწყობა დაავალონ აგრეთვე კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანსახკომს ერთი თვის ვადაში დაამუშაოს სამალარიო კანონმდებლობის პროექტი და წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს განსახილველად.

17. პერსონალური პასუხისმგებლობა რაიონებში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაეკისროს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებში — საწარმოთა დირექტორებს.

18. მალარიისა და სხვა ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფართოდ იქნეს გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები: შეჯიბრება და დამკვრელობა რაიაღმასკომებსა, სოფლის საბჭოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, სკოლებსა, პიონერებსა და სხვ. შორის.

19. წინადადება მიეცეს საქ. ჯანსახკომს პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირი და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები, რომლებიც დაარღვევენ მალარიის საწინააღმდეგო დადგენილებებს.

20. დაევალოს საქ. რესპუბლიკის პროკურორს, გასცეს განკარგულება ადგილობრივ პროკურორებისადმი, რათა ერთი დეკადის ვადაში დაითავრდეს ყველა საქმე, რაც აღძრული იქნება მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის წესების დარღვევისათვის.

21. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შემოწმება დაევალოს ჯანსახკომისარიატს, რისი შედეგი თავის დროზე უნდა მოხსენდეს ცაკის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი.**

სასკოლო მშენებლობა ზესტაფონის რაიონში

ზესტაფონის რაიონში ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა. ძირულაში 1921 წელს დაწყებული სკოლის მშენებლობა, რომელიც სრულიად მივიწყებული იყო, ახლა უკვე განახლებულია. შენობა 18 ოთახიანი იქნება.

ქვედა-საქარაში არასრული საშუალო სკოლისათვის გადადებულია 20.000 მან. სკოლების მშენებლობა მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. საზაბლეში, კვალითში, წევაში და ზედა-საქარაში. მშენებლობაზე დაიხარჯება 100.000 მან. ახლახან ზესტაფონის განყოფილებამ სასწავლო ნივთების და სახელმძღვანელოების შესაძენად 30.000 მან. გადაეცა.

რაიონში სკოლებთან მოეწყობა სამოქალაქო ისტორიის 10 ახალი კაბინეტი, გეოგრაფიის 10 კაბინეტი და ამასთანავე შეძენილი იქნება ქიმია-ფიზიკის 6 ახალი კაბინეტი

(საკ. კორ.)

სიგნალები ადგილებიდან

მადა ჭამის დროს მოდის!

ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ჩამოვთვლით იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აძლევს სახელმწიფო ქონებას ბაკურიანის (ბორჯომის რაიონი) სატყეო მეურნეობის დირექტორი **პლატონ გაგნიძე.**

მან სურამელ დურგალ **ნიკოლოზ მაცხონაშვილს** მისცა 40 მორი. დურგალმა ისინი დახერხა და გაყიდა. ფული გაგნიძემ და მაცხონაშვილმა გაინაწილეს.

სურამის მცხოვრებ **პლატონ ბრეგვაძეს** ორი ვაგონი ხეტყე გაატანა და სამაგიეროდ შიფონერი, საწერი მაგიდა და ავეჯი მიიღო.

გაგნიძე ამას არ დასჯერდა. მადა უფრო გაუძლიერდა და ხელი ფართოდ გაშალა. **არჩილ სამხარაძეს** 14 კონა ყავარი მისცა არაოფიციალურად და გასამრჯელოდ 800 მანეთი მიიღო. **გიორგი ლომიძესაც** მისცა 10 კონა ყავარი, ხოლო სოფ. ტეძრელ **მიტროფანე ჟღენტს** 6 ძირი ხე ჩაუჭრევინა.

პროკურორმა უნდა იზრუნოს გაგნიძის მადის შეკვეცაზე!

მცოდნე.

300 მანეთი დამიკარგეს

(მოსამსახურის წერილი)

გასული წლის 29 დეკემბერს მარტვილის ფოსტას ჩავაბარე 300 მანეთი შემდეგი მისამართით გადასაგზავნად. **ტფილისი, ლენინის ქ. № 88, ალექსანდრე ჯიშკარიანს.**

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ადრესატს ფული არ მიუღია. ისევ მივმართე მარტვილის ფოსტას. შემატანიეს განცხადება (4 თებერვალს). ერთი თვის შემდეგ მოვიკითხე ჩემი ფულის ბედი. ფოსტაში მითხრეს: შენი განცხადება ტფილისს გადაუგზავნეთო. ტფილისიდან არაფერი არ ისმის. მარტვილის ფოსტის მუშაკებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ეს საქმე მათ არ ეხებოდეს, ტფილისზე მითითებით სურთ თავიდან მომიშორონ.

კარგი იქნება, რომ მარტვილის რაიპროკურატურა გონზე მოიყვანდეს ფოსტის უსულგულო მუშაკებს.

დიმიტრი კირთაძე.

როდის მოგვცემენ ხელფასს?

(მასწავლებელთა წერილი)

ბაღდათის განათლების განყოფილებამ სოფ. ფერსათში გახსნა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. ჩვენ, როგორც მასწავლებლებს, დაგვავალეს შეთავსებით გვემუშავნა აღნიშნულ სკოლებში. დაგვპირდნენ განსაზღვრული ხელფასის მიცემას. ოთხი თვე ვამეცადინეთ მოწაფეები. მოხდა სკოლების გამოშვება, მაგრამ ხელფასი არ მოუციათ. ყოველდღე დავიარებით განათლების განყოფილებაში, რაიფინგანში. ვთხოულობთ კუთვნილ ხელფასს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. არ გვგონია, რომ მასწავლებელთა შრომა უნაზღაურებელი დარჩეს, მაგრამ როდის?

პ. ბუიძე.
ნ. გიორგობიანი.
ტ. ლომინაძე.

კადრების შეუფასებლობისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოთ

(მზარეულის წერილი)

გასული წლის ოქტომბერს ტფ. საზკვებტრესტმა 5 დამკვრელი მზარეული შეგვარჩია და ცეკავშირთან სასადილოს გამგეების მოსამზადებელ კურსებზე გაგვგზავნა.

საზკვებტრესტის მესვეურები დაგვპირდნენ, კურსების დამთავრების შემდეგ შესაფერ თანამდებობაზე გამოგიყენებთო. ტრესტმა 5 თვის განმავლობაში ჩვენზე საკმაო თანხა დახარჯა. ჩვენც რაც შეიძლება მეტი მონდომებით ვსწავლობდით. მივიღეთ საკმაო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. თითქმის ყველამ გამოცდები „ფრიადზე" ჩავაბარეთ და თამამად შეგვეძლო სასადილოს გამგედ მუშაობა.

კურსები მიმდინარე წლის თებერვალში დავამთავრეთ. ველოდით, რომ ტრესტი დაპირებას შეასრულებდა. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ლია ჭილის დირექტორმა **გ. გაგუაშვილმა** და ტრესტის სხვა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა ასეთი პასუხი მოგვცეს: „განცხადება შემოიტანეთ და სულ გაგანთავისუფლებთ ტრესტის სისტემიდან. ჩვენთან გამგის ადგილები არ არისო".

ასე ვიარეთ თითქმის მთელი თვე. ამ ხნის განმავლობაში ტრესტმა რამდენიმე კაცი დანიშნა სასადილოს გამგეებად. 4 ჩვენგანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საზკვებტრესტი და სხვაგან გადასულიყო. მე კვლავ ძველ თანამდებობას (მზარეულად) დავუბრუნდი.

ასე ეპყრობიან კადრებს საზკვებტრესტში. ამხ. სტალინის სიტყვამ მაინც უნდა მოიყვანოს ჭკუაზე ეს სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ადამიანებს პაიკებივით ათამაშებენ.

გამოხმაურება

გამოუქვეყნებელ წერილებზე

„მოგვაშორეთ ასეთი პედაგოგი"

„კომუნისტის" რედაქციამ ამ წლის 24 მარტს ამ სათაურით მიიღო წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფ. აჭარისაღმართის (ბათომის რაიონი) დაწყებითი სკოლის მასწავლებელ ქსენია ქორჩილავას; ამ უკანასკნელს ბრალად ედებოდა განათლების განყოფილების განკარგულებათა შეუსრულებლობა, ინტრიგანობა და სხვ.

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, მასწავლებელი ქსენია ქორჩილავა მოხსნილია სამუშაოდან.

პალმები ქარხნის ეზოში

26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა მაგალითს იძლევა არა მარტო წარმოების ახალი დარგების ახალი მანქანების ათვისებაში, არამედ ქარხნის ეზოს გამწვანებაშიც.

გამწვანების ხელი მოკიდეს ჯერ კიდევ შარშან. დარგეს 60-ზე ძირი ნაყოფი ხეები (ალუბალი, გარგალი, ჭერამი, ქლიავი), რომლებმაც წელს უკვე ნაყოფი გამოისხეს.

გამწვანების სამუშაოები განსაკუთრებით ინტენსიურად გაიშალა მიმდინარე წლის მაისიდან. დარგეს 40 ძირი დრაცენა, 30 ძირი პატარა პალმა, 10 ოთხმეტრიანი პალმა, 50 ძირი ნაძვი. 100 ძირი კრიპტომერია, 100 ძირი ლიმონი, 50 ძირი ვარდი და სხვ.

მოწყობილია სპეციალური სათბური, სადაც აშენებენ სხვადასხვა მცენარეებს და შემდეგ რგავენ ქარხნის ეზოში.

დაწყებულია საამქროების გამწვანებაც. საფეიქრო, ინსტრუმენტალური, სახარატო და კვების საამქროებში დადგმულია პალმები, გერანები, ფიკუსები, ოლეანდრები და სხვ.

ქარხნის ეზო თანდათან ბაღის სახეს იღებს. იქ, სადაც წინად ლითონის ბურბუშელა და ათას გვარი ნამტვრევები ეყარა, ახლა ლამაზი პალმები შრიალებს. რომლებსაც მზრუნველი ხელით უვლის ქარხნის მებაღე **ვასო ბუჯიაშვილი.**

მალე ქარხნის ეზო აყვავებულ ბაღნარად გადაიქცევა.

სურათზე: პალმები „26"-ის სახელობის ქარხნის ეზოში.

ვიქტორ ნინიძე

(მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს გამო)

...ეს იყო 25 წლის წინათ და მაშინდელ, რჩეულ მუშათა კლასისთვის მახლობელ, სცენის მუშაკთა შორის ერთი პირველთაგანი იყო ჩვენი ვიქტორი... ამთავითვე ჩვენი წრიდან გამოსული, ჩვენთან შეზრდილი, ამიტომ გვიყვარს ვიქტორი განსაკუთრებით ჩვენ, რკინის გზის მუშებს.—ასე ამბობენ რკინისგზელი მუშები **ვიქტორ ნინიძეზე.**

სცენის უანგარო და თავდადებული მუშაკი **ვიქტორ ათანასეს ძე ნინიძე** დაიბადა 1888 წ. სოფ. ახკანაში (გურია), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა ადგილობრივ ორკლასიან სკოლაში მიიღო და შემდეგ მშობლების სიღარიბის გამო მთელი მისი „სწავლა-განათლება" 4 კლასიან სამოქალაქო სკოლის კურსის გავლით დამთავრდა. ამასობაში მოახლოვდა 1904 წელი. გურიაში რევოლუციური მოძრაობა ფართოვდებოდა. ახალგაზრდა ვიქტორიც აქტიურად ერევა რევოლუციურ მოძრაობაში და მას ვხედავთ საკუთარ სახლში შენახულ არალეგალურ სტამბაში პროკლამაციების ბეჭდვაზე, ჩასაკიოლში პლასტუნებზე ცნობილ თავდასხმაში და სხვ.

ამავე წლებში იწყება ვიქტორის სასცენო მოღვაწეობა პირველად ადგილობრივ ახალგაზრდობისაგან სცენის მოყვარეთა წრის ჩამოყალიბებით. იგი სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს აღმოსავლეთ გურიის დაბა სოფლებში. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი გადადის ჭიათურაში შავი ქვის მაღაროებში სამუშაოდ. აქ მან გაიცნო სცენის მუშაკნი და დაიწყო მუშაობა რეჟ. **ვალერიან შალიკაშვილთან.** 1907 წლის დასასრულს ამხ. ვიქტორი ისევ გურიას უბრუნდება, სადაც მართავს წარმოდგენებს, ეწევა რევოლუციურ არალეგალურ მუშაობას. 1908 წელს ისევ ბრუნდება ტფილისში, სადაც იწყებს მუშაობას რკინის გზაზე. ამ დროიდან იწყება სახალხო სახლის სცენაზე მისი გამოსვლაც. იგი მუშაობდა ცნობილ რეჟისორებთან: **ალ. წუწუნავასთან, შალვა დადიანთან, კოტე მათიაშვილთან.**

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში, გურიის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ამხანაგი ვიქტორი მიწვეულ იქნა თეატრის ხელმძღვანელად ქ. მახარაძეში (მაშინ ოზურგეთი).

1923 წლიდან მას ისევ ტფილისში ვხედავთ. პლეხანოვის და ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბებში, სადაც 1928 წლამდე გვევლინება როგორც რეჟისორი და მსახიობი. 1928 წელს მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული მოძრავი სან-აგიტ-თეატრი, რომელსაც დღესაც სათავეში უდგას.

სასცენო მოღვაწეობის გარდა ამხ. **ვიქტორ ნინიძე** ლიტერატურულ მუშაობასაც აწარმოებს. მას ქვს თავისი თეატრისათვის დაწერილი სან. კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო თემატიკის რამდენიმე პიესა.

30 წელიწადია რაც ვიქტორ ნინიძე დაუღალავად ემსახურება ქართულ სცენას, მუშათა კლასს, რომელთა სიყვარულიც სამართლიანად დაიმსახურა და პარტიამ და ხელისუფლებამაც სათანადოდ შეაფასეს მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა; 1934 წელს საქართველოს ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით მას მიენიჭა **რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის სახელწოდება.**

დღეს რკინისგზის პროლეტარიატი მას უმართავს 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს.

ვასო ჩაჩიბაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვევამდელები პირობას იძლევიან

15 მაისს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა ორჯონიკიძის რაიონში მცხოვრებ 1913 წ. დაბადებულ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **თამარა გაბარაშვილმა.**

საბჭოთა კავშირის თავდაცვის და წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. **საუჯარელიძე, გრიგოლია, შონია და საბინაშვილი.**

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ორჯონიკიძის რაიონი წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადებას წელს ადრე შეუდგა. გასაწვევთა სოციალური მდგომარეობის გამორკვევაში აქტიურად არიან ჩაბმული საბჭოს წევრები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წითელ არმიას მისცენ შემოწმებული შევსება.

შესწავლილია გასაწვევთა მომზადების დონე. წერა-კითხვის მცირე მცოდნენი (80 კაცი) და უცოდინარნი (8 კაცი). მიმაგრებული არიან სკოლებზე.

შესწავლილია გასაწვევთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ორჯონიკიძის რაისაბჭო თავის ხარჯზე აგზავნის კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად 34 შედარებით სუსტ მწვევამდელს.

კარგად არის დაყენებული გასაწვევთა სამხედრო მომზადება. სამეცადინო პუნქტებზე სისტემატიურად ცხადდება გასაწვევთა 95 პროცენტი. მათ შორის ბევრი უკვე ვოროშილოვის სახელობის მსროლელია და ჩაბარებული აქვს გამოცდა შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის ნიშანზე.

კონფერენციაზე გამოვიდნენ წვევამდელები, რომლებმაც სიტყვა მისცეს შეკრებას რომ დამკვრელურად იმუშავებენ წარმოებაში, გადაჭარბებით შეასრულებენ საწარმოო დავალებებს და ფრიადზე ჩააბარებენ მწვევამდელ მზადებას.

კონფერენციის დასასრულს დაჯილდოებული იქნა 18 დამკვრელი წვევამდელი, რომლებიც წარმოებებში გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს და საუკეთესოდ ემზადებიან არმიაში გაწვევისათვის.

რაიონული გაზეთების რედაქტორების, მდივნების

მოსამზადებელი რესპუბლიკური კურსები

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან 15 ივნისიდან იხსნება რაიონული გაზეთების რედაქტორებისა და მდივნების **მოსამზადებელი ორთვიანი კურსები.**

კურსებზე მიიღებიან საქ. კ.პ. (ბ) წევრები, კანდიდატები და კომკავშირელები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური მომზადება არანაკლებ კომუნივერსიტეტისა და საერთო მომზადება არანაკლებ საშუალო სკოლისა. გარდა ამისა უნდა ჰქონდეთ ბოლშევიკურ პრესაში მუშაობის (რაიონულ, საოლქო და მრავალტირაჟიან გაზეთებში, გლეხკორობის ან მუშკორობის) სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

კურსებზე მივლინებულები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ბინით, სასწავლო ნივთებით და უკანდაბრუნების ხარჯებით. მივლინებულებს მივლინების თანხას აძლევს მიმავლინებელი ორგანიზაცია და უნახავს ხელფასს.

კურსებზე გაივლიან შემდეგ საგნებს: საქ. კ.პ. (ბ) ისტორიას, ლენინიზმს, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პრესაზე, ბოლშევიკური გაზეთის სტილს და ენას, საგაზეთო საქმის ტექნიკას, გაზეთის მასობრივ-ორგანიზაციულ მუშაობას, მეორე ხუთწლედის ამოცანებს და პრესის როლს, საერთაშორისო მდგომარეობას და აგრეთვე გაეცნობიან ცენტრალური გაზეთების სარედაქციო მუშაობის პრაქტიკას.

კურსებზე მიიღება 25 კაცი. თითო ადგილი ეთმობათ **ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხაშურის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, გორის, კასპის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარელის, ქობულეთის, ლაგოდეხის, ტფილისის, ბორჯომისა და წალენჯიხის რაიონებს, სამხრეთ-ოსეთს და აჭარისტანს.**

ზემოხსენებული რაიონების პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა შეარჩიონ კურსებისათვის შესაფერი კანდიდატები და გამოგზავნონ რაიკომის ბიუროს დადგენილება მივლინებული ამხანაგის შესახებ არა უგვიანეს პირველ ივნისისა.

შერჩეული ამხანაგი კურსებზე ჩამოვა, როგორც კი ამის შესახებ მას აცნობებს „კომუნისტი"-ს რედაქცია.

ბელორუსიის მწერლები ტფილისში

14 მაისს დილით ბელორუსიის საბჭოთა მწერლების დელეგაცია მისი თავმჯდომარის **ვ. ფ. ვოლსკის** მეთაურობით ესტუმრა ტფილისის კომუნალურ მუზეუმს, სადაც მუზეუმის დირექტორმა ამხ. **ბადრიაშვილმა** მწერლებს მისცა ახსნა-განმარტება.

შემდეგ დელეგაცია ქართველი მწერლების **გ. პატარიძის და დ. სულიაშვილის** თანხლებით ესტუმრა ზაჰესს. დელეგაციამ დაათვალიერა სადგური და სათავის ნაგებობანი, სადგურის დირექტორ ამხ. კამკამიძესთან საუბარში მწერლებმა აღნიშნეს სადგურზე არსებული შესანიშნავი წესრიგი.

ზაჰესიდან სტუმრები გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები — ჯვრის და სამთავროს მონასტრები და მცხეთის ტაძარი. მწერლებმა აღნიშნეს, რომ ამ ძველ ნაგებობათა არქიტექტურა განსაკუთრებით საინტერესოა.

15 მაისს დელეგაციამ ინახულა საქართველოს მუზეუმი, სადაც დიდი ყურადღებით დაათვალიერა მისი გამოფენები. მუზეუმმა მწერლებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა.

ამავე დღეს საღამოს მწერალთა სახლში შესდგა შემოქმედებითი საღამო — ბელორუსიის საბჭოთა მწერლების დელეგაციის შეხვედრა საქართველოს მწერლებთან.

რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ბაქოში

ბაქოს ორგანიზაციების მიწვევით რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ბაქოში, სადაც სახ. ოპერის თეატრში გამართავს მთელ რიგ წარმოდგენებს 1-ლი ივნისიდან 1-ლ ივლისამდე. თეატრი ბაქოს პროლეტარიატს გააცნობს თავის მიღწევებს. რეპერტუარში შეტანილია 5 პიესა, მათ შორის „ინტერვენციის" და „ანზორი" წარმოდგენების დადგმას უხელმძღვანელებს სახალხო არტისტი ს. ახმეტელი. თეატრი ბაქოში მიემგზავრება მთელი შემადგენლობით, თავისი დეკორაციებით და მოწყობილობით.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ განვაცხადო შემდეგი: წითელარმიელთა თეატრში 17 მაისისათვის დანიშნული კონცერტის აფიშიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას საზოგადოებაში, თითქოს ეს კონცერტი ჩემ მიერ და ჩემს სასარგებლოდ იმართებოდეს, ნამდვილად კი მე, სხვა მსახიობებთან ერთად, მხოლოდ **ჩვეულებრივი მონაწილე ვარ ამ კონცერტისა და არა გამმართველი.** ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ, რომ მე **ჩემს სასარგებლოდ არავითარი კონცერტი არ გამიმართავს, არ ვმართავ და არც მომავალში ვაპირებ გამართვას.**

რესპუბლიკის სახალხო არტისტი
უშანგი ჩხეიძე

შემთხვევები

- **დაჭრა.** მოქ. პ. ... ანდრიასიანმა პირადი შურისძიების ნიადაგზე ქლიბით თავში მძიმედ დაჭრა თავისი და ე. ... ანდრიასიანი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.
- **უბედური შემთხვევა.** გუშინ დილით სადგურ ნავთლუღთან მე-16 მარშრუტის ტრამვაის მისაბმელი ვაგონის ქვეშ თავისი გაუფრთხილებლობით მოჰყვა მოქ. ტ. ვ. შომიაშვილი (სოფ. ჯიმითის მცხოვრები), რომელსაც ვაგონის ბორბლებმა მოაჭრა მარჯვენა ფეხი. დაშავებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებაში 21 მაისს მოწვეულია საბჭოთა პარტიულ სკოლების დირექტორების რესპუბლიკური თათბირი. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ რაიონის პარტსკოლების დირექტორები, აგრეთვე საქ. განსახკომიდან **ამხ. ჩხეიძე** და საქ. შინავაჭრობის სახკომისარიატიდან —ამხ. გვასალია.

კრებები და მოხსენებები

— **დღეს, საღამოს 8 საათზე სახ. უნივერსიტეტში,** (აუდიტ. № 88) დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის საჯარო სხდომაზე პროფ. **მოსე გოგიბერიძე** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„გერმანული ფაშიზმის ფილოსოფიური საფუძვლები".**

[illegible]

დღეს	18 მაისს	19 მაისს
13 აბონ. 15 წარმ. ს. მუხტაროვას მონაწილეობით კ ა რ მ ე ნ ყოველგვარი უფასო და შეღავათ ბილეთები გაუქმებულია	9 აბონ. 15 წარმ. ლ ნინგრადის ბალეტის მსახიობების ვ. ჩიკვაიძე და ვახტ. ჭაბუკიანის მონაწილეობით დონ-კიხოტი	2 აბონ 14 წარმ მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის დ. ი. ანდღულაძის მონაწილეობით აბესალომ და ეთერი

18 მაისს დღისით მე-2 აბონ. მე-6 წარმ 1. ჯამბაზები, 2. ხაბალეტო დივერტისმენტი. დასაწ. დღის 12 ს. იმ აბონენტებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-12 (უკანასკნელი) გადასახდელი წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. წარმოდგ. დასაწყისი—დღისით 12 ს., საღამოს 8-ნახ ს.

რუსთაველის თეატრი

დღეს	18 მაისს	20 მაისს
4 აბონ 9 წარ.	5 აბ. 9 წარ.	8 აბონ. 9 წარ.
რ ღ ვ ე ვ ა	რ ღ ვ ე ვ ა	რ ღ ვ ე ვ ა

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

17 მაისს აბონემენტის გარეშე	წარმოდგენა № 156 ვერაგობა და სიყვარული
18 მაისს აბონემენტის გარეშე	წარმოდგენა № 157 ვერაგობა და სიყვარული
21 მაისს აბონ. № 8 მე-7 წ. მ.	წარმოდგენა № 158 ვერაგობა და სიყვარული

ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი ესკადრის დაღუპვა
დამკვრელი 6, 7-30 9, 10-30	მეორე სერია—განწირულნი
ტემპი 6. 7-30, 9. 10-30	ახალი მხატვრული ფილმი პარტიზანის ქალიშვილი
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვ. მხატვრული ფილმი ო ქ რ ო ს ც ე ც ხ ლ ი
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი ახალი გულივერი
კომინტერ ი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	იგორ ილინსკი კომედიაში ფ ი ნ ჯ ა ნ ი ჩ ა ი

ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტში შემსვლელთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსები
ი ხ ს ნ ე ბ ა
სახ. სამ. მუშფაკთან (პეტრიაშვილის, ყოფ. უდელის ქ. № 3) ა. წ. 1 ივნისიდან.

მსმენელებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებ. კურსდამთავრებული პირები ინსტიტუტში შესასვლელად საჭირო საბუთების (დეცნების) წარმოდგენით სწავლა უფასოა. დაწვრილებითი ცნობები მუშფაკის კანცელარიაში ყოველდღე საღ. 6 საათიდან 11 საათამდე. განცხადებების მიღება ამავე საათებში 25 მაისამდე

8211 ინსტიტუტის დირექცია.

ა.-წ. 18 მაისს დღის სრულ 12 საათზე, საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში (რუსთაველის № 17)

მოწვეულია აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშის და კადარის თვისტომთა (სოფლიდან წამოსულ ქალაქში მცხოვრებთა) ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სათვისტომო სექციის მიზანი და ამოცანები (მომხს. ამხ. ჩილაჩავა).
2. სათვისტომო სექციის ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევა

8215 შ ე ფ-ბ ი უ რ ო.

მომავალ გამოცდ. ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს და ვამზადებ უმაღლეს სკოლებში შემსვლელებს მათემატიკაში და რუსულში და ვასწავლი უცოდინარებს და მცირემცოდნ. 3 და 4 თვეს არითმეტიკას საბუღალტერო კურსებისათვის მოანგარიშის და მოლარის თანამდებობისათ. ალექსანდროვის ქ 25 (ყოფ. სავალი ჩერნიშევის ქ. 5. ნახვა 8—12 ს. 7—8 ს. 5—3 2347

ექიმი ი. ჭეიშვილი სიფილისი. ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, დ. საღამოს 6½—8½ საათ მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის საავადმყ. პირდაპირ

ექიმი ს. გ. დილბანძე სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, მწვავე და ქრონიკ. სუსუსტე და სქესობრივი უძლურების მკურნალობა. მიღ. საღამოთი მამაკაცების 6—8. ქალები 5—6 ს. თეატრალური შეს № 13, სახ. ოპერის თეატრის გვერდით. 6—5 7301

ქალ. ტფილისის ცენტრალური მაჩის ბიურო აცხადებს, რომ შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის ქურთიშვილი ალექსანდრე ხარლამპის-ძე ახალ გვარზე ქართველიშვილზედ გამოცვლის შესახებ. 8213

ქალ ტფილისის ცენტრალური მაჩის ბიურო აცხადებს, რომ შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის ქურთიშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე ახალ გვარზე და სახელზე ქართველიშვილზედ გამოცვლის შესახებ. 8212

სახელმწიფო ავტოსარემონტო ქარხანა № 8 დირექცია და მუშა-მოსამსახურეები უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ქარხნის მუშის სანდრო იხაკის-ძე უჩუმბელაშვილის უეცრად გარდაცვალების გამო. დასაფლავება მოხდება სოფ. ერთაწმინდაში (კასპის რაიონი)

ძმა კოლია გოგოსაშვილი, დები: სონა დონდაშვილი, მარგალიტა მაისურაძე და ანიკო შანშიაშვილი ქმარშვილით იუწყებიან, რომ 18 მაისს 1 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დი... (სოფიო ფოფო) გოგოსაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. 8210

ქმარი მიშა შვილებით, დედა ალექსანდრა, ძმები: კოლია, ვალოდია, გიორგი ორჯონიკიძეები ოჯახებით და თამარა დევდარიანი ოჯახობით იუწყებიან საყვარელ ადამიანის ნინა ლორთქიფანიძე—ორჯონიკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიდ ჯიხაიშში 18 მაისს. 8203

მეუღლე ევა, შვილები: მიშა, მანია, ლამარა, საშა ვასია ცაგარლები, რძლები: თამარა, მარუსია, მარო იუწყებიან, 18 მაისს 5 ნახევარ საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ალექსანდრე ვასილის-ძე ცაგარელის სამოქ. პანაშვიდი. 8208

შვილები: იულია, ქსენია, მარო, ალექსანდრე ხარებავები სიძე კაპიტონი შვილიშვილებით: მაყვალა, ნოდარი, გურამი ბაქრაძეები იუწყებიან, 18 მაისს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ბართლომე მათეს-ძე ხარებავას ხსოვნის აღსანიშნავად. 8207

მეუღლე აპოლინარია, შვილები: ნინა, გიორგი, ნიკოლოზი, ძმა ზაქარია ცოლით ანნა, და ელენე თულაშვილისა შვილებით იუწყებიან თომა ლუკას-ძე მოსულიშვილის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 17 მაისს 7 ს. ყიფიანის ქ. № 13 დაკრძალვა 18 მაისს ვერის სასაფლაოზე 1ს. 8206

დამწუხრებული ძმა სევასტი ნიკოლაიშვილი ცოლით, პიპიტო წითლიძე შვილებით: მიშა და ლულუნი იუწყებიან მათი საყვარელ მიხაკო ივანეს-ძე ნიკოლაიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 მაისს 5 ს. ბახვში. (მახარაძის რაიონი). 8201

დამწუხრებული შვილი კატუშა ნიკოლაიშვილი ქმრით, კოლია ჩხარტიშვილი და შვილით პატარა მარიკათი აუწყებენ ნაცნობ და მეგობრებს მათი საყვარელ მამის მიხაკო ნიკოლაიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 მაისს ს. ბახვში. 8201

დედა სალომე, მამა არტო, მეუღლე ფეოფანია, შვილი რუსუდანი იუწყებიან, რომ 18 მაისს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ალექსანდრე (საშა) იოსების-ძე გადახაბაძის ხსოვნის აღსანიშნავად. 8202

ძმა ირაკლი ლორთქიფანიძე, მამიდაშვილი კოლია შარაშენიძე ოჯახებით, ლემანი, ელიკო და ბიჟან ლორთქიფანიძეები იუწყებიან ნინა ხიმონის ასულ ლორთქიფანიძე ორჯონიკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დიდ ჯიხაიშში. 8204

მეუღლე მათო, შვილი ნინიკო იუწყებიან, რომ 18 მაისს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ექიმ ალექსანდრე (შურა) ვასილის-ძე ახვლედიანის ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 157

ღრმად დამწუხრებულნი დათიკო მშვიდობაძე, გიორგი გედევანიშვილი, სევასტი წიქარიშვილი ცოლშვილით და ტასიკო კობახიძე შვილებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის ნიკოლოზ ირაკლის-ძე ცინცაძის უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 18 მაისს ქ. ბორჯომში. 8254

უახლოესი მეგობრები: ივანე შარაშიძე, ევგენი მხეიძე, განსი ცეიმანი, სევერიან ლორთქიფანიძე და აკაკი ელენტი, მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მეგობრის კოლია ირაკლის-ძე ცინცაძის დაკარგვის გამო. დაკრძალვა 18 მაისს, ქ. ბორჯომში. 822[illegible]

დამწუხრებული მშობლები: ილიოზა, ანიჩკა, ძმები: აკაკი, ბიჭიკო, ლევანი, პეტო, რძლები: ნინა და ნინა ძმისწულები: თინა და ნათელა დათებაშვილები იუწყებიან საყვარელ ია (სონა) ჯინორიას გარდაცვალებას. 8223

მამა გრიგოლი, ძმა შალვა თედორაშვილები, შვილი ოთარ, და ანნა ქმრით პეტრე ახალკაცი შვილებით: თინა და ნელით იუწყებიან თამარ გრიგოლის ასულ თევდორაშვილი-ქიქიბურის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 ს. გამოსვენება ვარდისუბნის ქ. № 26. 8225

მის. ხორბელი ცოლით თამარი და შვილებით: შოთა და გიგი იუწყებიან ძვირფას დის და ცოლის დის ია ჯინორიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 მაისს 5 ს კუკიის სასაფლაოზე საბჭოს ქ. № 77. 821[illegible]

მშობლები: ანიჩკა მალაქია, ძმა რუბენი დები: თამარა ქეთო იუწყებიან საყვარელ ბონდო მალაქიას-ძე შიშინაძის უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზექტურაში გამოსვენება იქიდანვე 18 მაისს 4 ს.

ივდითი გელოვანისა, ანნა ჰყონიასი, კატო და ევპრაქსია ლორთქიფანიძის ასულნი, ბარბალე ვოლსკის ასული ისონ და ნიკო ლორთქიფანიძეები ცოლშვილით და ირაკლი წულუკიძე ცოლშვილით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ალექსანდრე მერაბის-ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. გამოსვენება (ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. № 14) 18 მაისს, დღის 5 საათზე დასაფლავება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ 7 საათზე. 8228

ცოლისძმები: სოლო, გიგლა, დავით ფურცელაძეები ოჯახობით ცოლისდები: დოდო არო, ლოლა ქმრებით: ვ. ახვლედიანი, ა. წინამძღვარაშვილი, ... გაბუნია იუწყებიან, რომ 18 მაისს ვერის სასაფლაოზე 1 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი შურა ახვლედიანის ხსოვნის აღსანიშნავად. 820[illegible]

ტფილისის სახ. კონსერვატორიის მუსიკალური მუშფაკის დირექცია, პედპერსონალი და მსმენელები აუწყებენ საზოგადოებას მესამე კურსის მსმენელის ბონდო მალაქიას-ძე შიშინაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17 მაისს 7 ს. ალექსანდროვის საავადმყოფოში. გამოსვენება 18 მაისს, 4 ს. საავადმყოფოდან. 8227

თბილისის უსინათლოთა სკოლის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ელენე თევალიშვილის საყვარელ დისწულის პატარა ბიჭიკო ონიკის-ძე მინასიანცის გარდაცვალების გამო, დაკრძალვა 17 მაისს 5 ს. დიდუბე მადლის ქარხნის შენობა 8218

თბილისის საბჭოს სავეტერინარო ინსპექცია იუწყება ექიმი ვეტერინარის შალვა გიორგის-ძე ხუციშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18 მაისს 5 საათზე ბინიდან პლეხანოვის ქ. № 19. 8214

ძმები: ივანე, აბელი ცოლშვილით, დები: ოლღა, ფოტინე ქმარშვილით, ძმისწული ლუბა ორჯონიკიძე ქმარშვილით, დისშვილები: თამარა, ნინა, ტატიანა იუწყებიან ლიდა იოსების ასულ წერეთელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 მაისს 5 საათზე. 822[illegible]

დედა მაშო, ბიძა ივანე, დეიდაშვილები მარუსია, ცაცა, გრიშა გაფრინდაშვილები, სიძე ერეკლე ვაშაძე ცოლშვილით იუწყებიან, რომ 18 მაისს საჩხერეში დანიშნულია ექიმ სონია ჩაჩანიძე—კაპანაძის სამოქალაქო პანაშვიდი. 8219

დამწუხრებული ქმარი იგორი მშობლებით, მულები: ვიქტორია, კლავდია, ვალენტინა, კატუშა და მელანა ქმარშვილით, მაზლი გრიშა ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ ლიდა იოსების ასულ წერეთელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 მაისს 5 ს. კავსაძის ქ. № 2. 8222

მწუხარებაში მყოფნი ცოლი მარიამი, ქალიშვილი თამარი იუწყებიან, რომ 18 მაისს 6 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ იუსტინე აფრასიონის-ძე ზამურელიძის ხსოვნის აღსანიშნავად. 8224

სიდედრი ევსაპი იშხნელისა შვილებით: ვალენტინა დგებუაძე, თამარა ღვინაძე, საშა ჯადარიძე, ნინა, ზინა, ვალოდია, შურა ოჯახობით იუწყებიან ძვირფასს სიძის შალვა გიორგის-ძე ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. პლეხანოვის პრ. № 19. 822[illegible]

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთ ვლიტის რწმუნებული ბ—9358